პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1935 წ. მარტი
პარიზი

№ 52

1935 — MARS
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

კავკასიის კონფერენცია

კავკასიის კონფერენციის პრეზიდიუმისაგან:

ამ დღეებში დასრულდა კონფერენცია კავკასიის იმ ნაციონალური ორგანიზაციებისა, რომელთაც ხელი მოაწერეს პაქტს კავკასიის კონფედერაციისა 14 ივლის 1934 წ.

კონფერენცია იყო მოწვეული კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის თაოსნობით, რომელმაც ანგარიშის ჩაბარებასან ერთათ ჩააბარა თავისი რწმუნებულება.

კონფერენციამ განიხილა რა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენებანი ერთხმათ მიიღო მთელი რიგი პრინციპიალური რეზოლიუციებისა პოლიტიკური, ტაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის.

კონფერენციის მუშაობა დასრულდა კავკასიის კონფედერაციის საბჭოს არჩევით, რომლის კომპეტენციაა, თანახმათ მიღებული დადგენილებისა, უხელმძღვანელოს კავკასიის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მთელ ბრძოლას, რომელნიც გაერთიანდენ თავიანთი რესპუბლიკათა დაკარგული თავისუფლების აღსადგენათ და მათ შესაერთებლათ კონფედერაციის საფუძველზე.

კ. კ. საბჭო აღჭურვილია სრული უფლებით გამოვიდეს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელით ყველა იმ საკითხებზე, რაიცა ეხება კავკასიას და იმოქმედოს როგორც საერთო ხელმძღვანელი ორგანო.

◆

კავკასიის საბჭო

მრავალი მწარე წლეების შემდეგ მივედით იქ საიდანაც დავიწყეთ. დავიწყეთ მთლიანი ფრონტით, ამიერ-კავკასიის ფედერაციით, რომლის წევრი უნდა გამხდარიყო ჩრდილო კავკასიაც; ისტორიულმა სტიქიამ ეს მთლიანობა დაარღვია და მიუშვა მისი წევრები დაქსაქსულობის ალალბედზე. ეს გაყრილი ძმები მტერმა სათითაოთ დაიმორჩილა და მთელი კავკასია შეაბა მონობის მძიმე უღელში.

საქართველოს სოც.-დემოკრატია თავიდანვე, ძველი რეჟიმის დროიდან, წინ აყენებდა კავკასიის მთლიან ინტერესებს, მის საერთოთ მოწყობას, რომლის ფარგალში თვითეული ერი ნაციონალურათ ურთ-ერთის უფლების დაცვით დაეწყობოდა. ჯერ მრთელი. შემდეგ კერძო. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიდგომა როგორც პოლიტიკურათ, ისე ტაქტიკურათ. ვიქნებოდით რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში, თუ, თვითგამორკვევის პრინციპით, მას გამოვეყოფოდით, ორივე შემთხვევაში ერთი მხარე იყო ნათელი: კავკასიის რიცხვით მცირე ერები თავიანთ სახარბიელო მომავალს გამოსჭედდენ შეერთებული ძალ-ღონით, ერთათ დგომით და ერთათ ბრძოლით. ამ გზაზე ვიდოდით, ამ ხაზზე ვმუშაობდით.

მსოფლიო ომის ქარცეცხლი მოწვდა კავკასიასაც და გაარღვია მთლიანობის კედელი. ეს იყო ერთი ეპიზოდი, გარედან შემოვარდნილი გრიგალი, ჩვენი გზის დროებითი გამრუდება და არა მისი სამუდამოთ მოსპობა. ის რაც შეუქმნია ისტორიას, რაც მოუცია გეოგრაფიას, რაც დაუკავშირებია ბუნებას, მისი გაქრობა აღემატება ადამიანთა ძალღონეს. ის შეფერხდება, შეფოჩხდება, მაგრამ პირველ შემთხვევისთანავე აღდგება, წელში გაიმართება.

ეს ჩვენი სტიქიური მიმართვა ერთიმეორისაკენ. ბუნებრივი ლტოლვა კეთილ, ძმურ მეზობლობისაკენ კიდევ უფრო გააძლიერა მწარე გაყრამ, გავლილ საბედისწერო გამოცდილებამ, მოსკოვის საშინელმა ტირანიამ და შექმნა ხელთუქმნელი ურყევი ნიადაგი ტანჯულ ხალხთა გულში ძმობის, სოლიდარობის და ერთობის. და აი, ეს ბედისაგან ერთნაირათ დაჩაგრულნი ერთათ თავს იყრიან, ერთ ორგანიზაციას ქმნიან, ერთათ ბრძოლის და ერთათ ცხოვრების საფუძველს ყრიან. კავკასიის პაქტი, კავკასიის საბჭო —კავკასიის ხალხთა მთლიანობის გამოხატულებაა, მისი ორგანოებია, მისი დღევანდელი ბრძოლის და ხვალინდელი გამარჯვების ხელმძღვანელია.

კავკასიის საბჭო გადასძახებს კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ჩაგრულ ერებს და ხალხებს და მათ მოუწოდებს ერთათ დგომის და ერთათ ბრძოლისაკენ მოსკოვის ვერაგთა შესამუსრავათ და მათ ნანგრევზე თავისუფლების დროშის აღსამართავათ.

კავკასიის საბჭო პირველი ხიდია ჩაგრული ერებისაკენ გადებული, ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა შემაერთებელი. ამ საერთო შუღლის და დაქსაქსულობის დროს, ის არის პირველი ვარსკვლავი ხალხთა შემოკრებისათვის მანათობელი, ჩაგრულთა ერთობის მღაღადებელი და მათთვის გზის გამშუქებელი.

ჩვენ ვუსურვებთ ამ ჩვენ ახალ მოძმეს მხნეობას. ნაყოფიერ მუშაობას და გამარჯვებას.

◆

ევროპის წონასწორობა

ლონდონის შეთანხმებით საერთაშორისო პოლიტიკაში საჯაროთ დაისვა საკითხი ევროპის წონასწორობის შექმნაზე. ამ საგანს უტრიალებს დღეს დიპლომატია, მწერლობა, საზოგადო აზრი—მთელი კმაყოფილი თუ უკმაყოფილო საზოგადოება. თვითეული მხარე იძლევა თავისებურ პასუხს, ქმნის თავის სასარგებლო ატმოსფერას, იზომავს თავისკენ დიდი ადლით და სხვას უგდებს ნამცეცებს. ამ საერთო ჭიდილში და შეხლა-შემოხლაში ერთი დედააზრი გამოსჭვივის, ერთი საფუძველი ირკვევა, რაიცა ხდება მთელი დავის გაურღვეველ კალაპოტათ. რა აზრია ეს?

გეომეტრიის ძირითადი კანონი მოითხოვს შენობის წონასწორობის დამყარებას სწორათ გაზომილ და გამოანგარიშებულ ნიადაგზე და მასზე შეფერებულათ აგებულ საძირკველზე. თუ საფუძველი დანგრეულია, მასზე კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა დაკარგულია. ეს საყოველთაოთ მიღებული, ასე ვთქვათ, ზურგიელიძის ჭეშმარიტებაა. მაგრამ პოლიტიკაში ის სრულიად არ ჭეშმარიტობს, ამ სფეროში ის ჯერ კიდევ ვერ შესულა და თავისი ადგილი ვერ დაუჭერია. პირიქით, მთელი საერთაშორისო პოლიტიკა და მისი მაწარმოებელი დიპლომატია მიიმართება ამ უდაო პრინციპის წინააღმდეგ, მუშაობს დანგრეული საფუძველის შესარჩენათ და მასზე სწორი კედლების ასაშენებლათ. და რადგანაც საზოგადოება იმართება წინააღმდეგ ბუნების წესებისა, აქედან არა გამოდის რა გარდა შუღლის, განხეთქილების და ომებისა. რომელი ხუროთმოძღვარი ვაიფიქრებს დაფუშული შენობის სახურავიდან გამოსწორებას. დიპლომატია კი მოწოდებულია ამაგროს სწორეთ სახურავი და გვერდი აუხვიოს საფუძველს.

დღევანდელი ევროპა სნეულია არა კეთილი სურვილების უქონლობით, არა ომის სიყვარულით და ზავის სიძულვილით, არამედ მისი ერთა შინაგანი ურთიერთობით, მისი შემადგენელი ნაწილბის უსწორ-მასწოროთ განაწილების. ყველა ერთიმეორეს ედავება. ზოგი ხალხებს, ზოგი ტერიტორიას, ზოგი იურიდიულ ნორმებს—ყველა უკმაყოფილო და ამრეზილია. გერმანია ედავება ავსტრიას, იტალია იუგოსლავიას, ვენგრია ჩეხო სლოვაკიას და რუმინიას, საფრანგეთი გერმანიას—ყველა ერთიმეორისაგან რაღაცას ეძებს და ერთიმეორეს რაღაცას თავზე ახვევს. ასეთ პირობაში პოლიტიკური წონასწორობის აღსადგენი საშუალება ერთათ-ერთია—გზიდან აცლა დავის მიზეზების, გაწმენდა ეკლიანი ნიადაგის და მით მრუდე საძირკველის ალაგას პირდაპირის ჩაყრა. ე. ი. ზავის დამყარება არა ძალით, არამედ უფლებით, კეთილი მეზობლობის აწყობით. უფლების წყაროა ადამიანის ნება-სურვილი, მის-მიერ თავისუფლათ არჩევა როგორც სახელმწიფოსი, ისე სახელმწიფო მართველობის. მთელი დღევანდელი დიპლომატია მიმართულია სწორეთ ამ პრინციპების წინააღმდეგ, არ დაანებოს ერს გამოარკვიოს თავის თავი, თქვას თავისი აზრი ეროვნულათ მოწყობაზე. ერთათ-ერთი გამონაკლისი იყო საარის პლებისციტი, სადაც საქვეყნოთ დამტკიცდა ეროვნული მომენტის უაღრესობა ყველა სხვა მომენტებზე. სამაგიეროთ სხვაგან ყოველგან გამართულია დიდი ბრძოლა ამ მომენტის გამოჩენების წინააღმდეგ. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპაში ავსტრიის მაგალითი, სადაც მიღებულია ყოველივე საშინაო თუ საგარეო ზომები ავსტრიის ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების წასართმევათ და უნდა თუ არა გერმანულ საერთო ოჯახის გარეშე დასარჩენათ. ასევეა დღეს ყოველგან სადაც კი სხვა ერი სხვის სახელმწიფოშია ჩაკირული, ხოლო მისი ნება აბუჩათ აღებული.

მაშასადამე, ევროპის წონასწორობას ერთი ბუნებრივი ფუძე—ერთა თვითგამორკვევა—დანგრეულია, უარყოფილია და მის მაღლა ძალმომრეობა აღმართულია. დიპლომატია მოწოდებულია მოახდინოს სასწაულები, ლამაზი სიტყვებით, სხვადასხვა ჯურის თამასუქებით, სიტყვიერი დაპირებით და ერთი მეორის გამოჭერით ნიაღვარი ცეცხლით დააშროს. და როცა ეს არ ხერხდება, სენი კიდევ უფრო ღრმავდება, დიპლომატებს უკვირთ და განაგრძობენ ლოცვას—ვიჯმნით ეშმაკისაგანო. ყველაზე ნაკლები ტერიტორიალური დავა არის საფრანგეთ-გერმანიას შორის. საარის ბედის გადაწყვეტით, ყველაზე მეტი ჰარმონია მათ შორის უნდა სუფევდეს. ნამდვილათ კი, ორი ჭიჭყინა მეზობელივით, ერთი მეორეს ეპირდაპირებიან, ედავებიან და ეჭიჭყინებიან. და ასე, ყველა ყველას წინააღმდეგ, ყველა გაიძახის ჩემი სჯობსო და ურჩობს ვითა ჯორი. აი ამ საერთო აშლაში გამოჩნდა მომრიგებელი, ბედის გადამწყვეტი ციური ვარსკვლავი, რომელმაც თურმე უნდა დაამყაროს ევროპის წონასწორობა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ეს უებარი მოციქულია საბჭოთა რუსეთი, მოდავეთა გამზავებელი, მყუდროების მომნიჭებელი, თვითონ მოუვლელი, ევროპის მომვლელი. საფრანგეთის პრესას თუ დაუჯერებთ, ერთათერთი გამოსავალი ამ მხრით არის, რომლის აღმოჩენას თვითეული ბანაკი იჩემებს. სიმართლე ჰერიოს არ დაეკარგვის, მან პირველათ აღმოაჩინა ეს მალამო, მაგრამ ახლა მემარჯვენენი ედავებიან, კირილისი და ძმანი მათნი პირველობას იჩემებენ. ეს სამოსკოვო გატაცება საერთოა და წაგავს პირველ სიყვარულს, როცა გონება დამბულია და გრძნობა აშვებულია. ათას ფრანგში ერთიც ვერ გეტყვის, როგორ უშველის მას რუსეთი გერმანიასან ომის დროს, რომელთა შორის საერთო საზღვარიც კი არ არის. მაგრამ ეს მას სჯერა, ისე როგორც სჯერა ჰიტლერელთა სიბოროტე და სტალინელთა კეთილობა.

ამნაირათ, წონასწორობის ფუძე მონახულია, ეს არის რუსეთი. ე. ი. დიდი მთლიანი რუსეთი ამ ქამათ შედის საფრანგეთის საერთაშორისო სისტემაში. აქ მთელი ანგარიში დამყარებულია სტალინის რეჟიმზე, ხოლო რაც იმას იქით და ქვევით არის, ეს ანგარიშიდან გამორიცხულია, ეს უცნობი, უგემური ხილია. ეს საგარეო კომბინაცია საბჭოთა ხალხებზე არ ეყრდნობა, ვინაიდან ამათი სულიერი განწყობილება ცნობილია. ტირანია და ხალხი ერთიმეორის მტერია. ცხადია, ვინც ტირანიას უახლოვდება, ხალხს შორდება; ისტორიამ არ იცის დავა მთავრობას და ხალხს შორის, რომელიც ხალხის სასარგებლოთ არ დასრულებულიყოს. ასე იქნება საბჭოთა იმპერიაში, მაგრამ ამ დროს სად იქნება საფრანგეთის უშიშროება? ვისი ინტერესია ბრესტლიტოვსკის ასე მალე დავიწყება? ხდება გაუგონარი ამბავი, დიპლომატიის ილიუზიებით შეცვლა, წასულის უკუგდება და მომავალის გამრუდება. დაყრდნობა იმ ქვეყანაზე, რომელიც თავის მხრივ მოცულია ნაციონალური, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობათა გაუვალი ქსელით, ნიშნავს ისპანიის კოშკის რეალურათ წარმოდგენას და მის იმედზე ერის სვებედის მიშვებას. მოყვარეს პირში უძრახეო—ნათქვამია. ჩვენი ვალია სიმართლე უთხრათ ჩვენ გულუხვ მასპინძლებს. როცა საბჭოთა ხალხები და ერები აიშობენ, თავის მტანჯველთა მეგობრებს ხელს არ გაუწოდებენ.

საბჭოთა იმპერია, თვით მოკლებული ყოველნაირ წონასწორობას და მხოლოდ ჩეკის მტლანქ ძალმომრეობაზე დაყრდნობილი, როგორ გამოდგება ევროპის წონასწორობის ბერკეტათ? ევროპაში გაცილებით მეტი ეკვილიბრია ყველა სფეროში, ვინემ რუსეთში; ცოცხალის აკიდება კვდარისათვის, სადაური პოლიტიკაა? საფრანგეთს უეჭველია ესაჭიროება უშიშროების გარანტია, მაგრამ გარანტია რეალური, იმედიანი და მკვიდრი. ის უნდა მოინახოს მხოლოდ იქ, სადაც წყობილება ძირმომაგრებულია, ხალხს და მთავრობას შორის ანტაგონიზმი მინიმალურია, ნაციონალური მთლიანობა შეგნებულია. მისი ძებნა დღევანდელ რუსეთში—ამაოა; ნიკოლოზის სამეფო გაცილებით უფრო ძირმაგარი იყო, ვინემ სტალინის და ის მაინც დაეცა. საფრანგეთი იხსნეს და მომავალშიც იხსნიან რეალური სახელმწიფონი, ევროპის და ამერიკის ძალები და არა მოსკოვის განწირული წესები. პოლიტიკაში რომანტიკა დაუშვებელია. ხავსზე ხელის მოჭიდებას დახრჩობისაგან არავინ უხსნია.

დასავლეთი ევროპის წონასწორობა დასავლეთშია...

◆

პიროვნული რეჟიმი

საბჭოთა მე-7 საკავშირო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სპეციალურათ არჩეულ კომისიას ევალება შესწორება შეიტანოს საბჭოთა კონსტიტუციაში და მომავალი არჩევნები საბჭოებში მოხდენილი იქნას ამ შეცვლილ კონსტიტუციის მიხედვით.

რეფორმა ეხება საარჩევნო უფლებებს. საარჩევნო სისტემა, რომელიც დღემდინ არ იყო ყველასათვის თანასწორი, ამიერიდან შეცვლილ უნდა იქნას და ემყარებოდეს თანასწორობის პრინციპზე;მრავალ საფეხურიან და ღია არჩევნების მაგიერ შემოღებულ უნდა იქნას პირდაპირი და ფარული ხმის მიცემა. საყოველთაო არჩევნების უფლება კი მივიწყებულია და მასზე რეზოლიუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები.

ამ მომავალ ცვლილების გამო დიდი ზეიმი იყო საბჭოების ყრილობაზე და ეს ზეიმი დღესაც გრძელდება საბჭოთა მთელ პრესაში.

კოსიორი თავის სიტყვაში ყრილობაზე აცხადებდა, რომ კონსტიტუციის ასეთი რეფორმით პროლეტარული დემოკრატიის ახალი ეპოქა იწყებოდა; მეორე ორატორი—გოლოდედი კი ამბობდა, რომ ადგილი აქვს უდიდეს ისტორიულ მოვლენასო. «პრავდა» და «იზვესტია» ერთხმათ ამტკიცებენ, რომ ამ რეფორმამ «საბჭოთა დემოკრატიის უმაღლეს მწვერვალომდე» მივყვავართო. ყველა ამათი აზრით ეხლა ბრმაც კი დაინახავს, რომ არ არსებობს არავითარი ანალოგია ფაშისტურ რეჟიმის და საბჭოთა სისტემის შორის, როგორც ამას დღემდინ ფიქრობდენ ევროპაში არა თუ ანტიბოლშევიკური წრეები, არამედ ზოგი ჩვენი თანამგრძნობნიცო. ნუ თუ ეხლაც ცხადი არ არის, რომ ფაშისტური დიქტატურა, რომელმაც «მოსპო ყოველგვარი თავისუფლება» და რომელიც «ვერაგული და ტერორისტული მეთოდებით ებრძვის და იმონავებს ფართე მასებს», ერთია, საბჭოთა დიქტატურა კი სულ სხვა რამეო ცინიკურათ გაიძახიან კომუნისტური ხელისუფლების დღევანდელი დამცველები.

«სოც. ვესტნიკის» ბოლშევიზან რეფორმისტების ფიქრით კი კომუნისტების ეს საარჩევნო რეფორმა, რაც დიდი ნაკლი არ უნდა ქონდეს მას, წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან პრაქტიკულ-პოლიტიკური ღირებულების ფაქტს, რომლითაც აღიარებულია ფარული ხმის მიცემას პრინციპი—თავისუფალ პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლების ეს აუცილებელი სიმბოლო. ისინი დაასკვნიან, რომ «სტალინის ტერორისტულ დიქტატორულ რეჟიმში პირველათ იქმნება ნიადაგი მასიური ბრძოლის გასაწევათ, არსებული რეჟიმის გარდასაქმნელათ და მისი ნამდვილ და არა სიმბოლიურ დემოკრატიზაციის მოსახდენათ.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკებს თუ დავუჯერებთ, მათ საბჭოთა რუსეთი გააბედნიერეს და მას უმაღლესი უფლებები მიანიჭეს. «სოც. ვესტნიკის» რედაქტორს და მთავარ თანამშრომელს—დანს კი პირში ნერწყვი ადგება, აი გვეშველა, ბოლშევიკების ეს ნაბიჯი უნდა გამოვიყენოთ მათზე გავლენის მოსახდენად და რეფორმების გზით დღევანდელი რეჟიმის შესაცვლელათო.

ბოლშევიკების რეფორმის პროექტში ეგებ მართლა არის არსებითად რაიმე დემოკრატიული? რასაკვირველია, არა.

არჩევნების უფლებებით სარგებლობა, თუგინდ ეს არჩევნები იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული, არ ნიშნავს უთუოდ დემოკრატიის არსებობას და დამკვიდრებას. ეს ასე რომ იყოს, დღეს გერმანიაში და იტალიაში დემოკრატიული რეჟიმი იქნებოდა.

დემოკრატიული რეჟიმის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ადამიანს უფლება ჰქონდეს თავისუფლად ილაპარაკოს, სწეროს, კრება გამართოს, ამა თუ იმ პარტიას, თუ ჯგუფს ეკუთვნოდეს, თავისუფალი კრიტიკა აწარმოვოს და სხვადასხვა კანდიდატთა შორის მის მიერ მოწონებულს თავისუფლათ და დაუსჯელათ ხმა მისცეს.

ხდება ეს ასე დღეს საბჭოთა რუსეთში, გერმანიაში, ან იტალიაში? არა, არ ხდება.

იქ, სადაც არ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი დემოკრატიული თავისუფლებები, საყოველთაო არჩევნების უფლება ყოველგან დიქტატორულ რეჟიმის გასამაგრებლათ არის გამოყენებული. საყოველთაო არჩევნებით შეუძლია ისარგებლოს, როგორც დემოკრატიამ, ისე რეაქციამ, მთავარია და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში და რა შინაარსით ხდება არჩევნები.

ფაშისტებმა ამ 10-12 წლის განმავლობაში ბევრ რამეში მიბაძეს ბოლშევიკებს: ბოლშევიკებივით მათ მოსპეს ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლებები; მოსპეს სხვადასხვა პარტიების არსებობის საშუალება და დაამყარეს ერთი პარტიის დიქტატურა—ბატონობა; მგზავსათ ბოლშევიკურ ჩეკის რაზმებისა მათ შექმნეს პარტიული პოლიცია—ფაშისტური მილიცია იტალიაში, რასისტების დამკვრელი რაზმები გერმანიაში და სხვა. ფაშისტებმა არ მიბაძეს ბოლშევიკებს ერთ რამეში: მათ არ გააუქმეს საყოველთაო არჩევნების უფლება. და ასეთი არჩევნებითი სისტემით ისინი ხშირათ და მოხერხებულათ თავიანთ საქმეებს აწყობენ და აკეთებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ფაშიზმის წარმოშობის ერთი მთავარი მიზეზთაგანია ბოლშევიკების მიერ წარმოებული პოლიტიკა რუსეთში, თუ უცხოეთში. ამავე დროს ფაშიზმი თავის გასამაგრებლათ მუდამ საზრდოებს და სარგებლობს ბოლშევიკურ პოლიტიკურ ადმინისტრატიული მეთოდებით.

სტალინს კი დღეს უნდა საბჭოების არჩევნები განსაკუთრებული მიზნისათვის გამოიყენოს და თავის მხრივ ის ეხლა ევროპიელ ფაშისტებს მიბაძავს.

ბოლშევიკების დღევანდელი მტკიცება იმის შესახებ, რომ ვითომც მათ საქმიანობას არაფერი საერთო არ ქონდეს ფაშისტურ მეთოდებთან მხოლოთ უბრალო თვალთმაქცობა და ცინიზმია. ისინი ბევრ რამეში ერთმანეთს ბაძავენ და ასაზრდოებენ.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რად დასჭირდათ ეხლა ბოლშევიკებს საარჩევნო უფლებებით თამაში?

მათი სურვილია საარჩევნო ზოგი უფლებების აღდგენით ომის საშიშროების დღევანდელ ხანაში ერთნაირი შთაბეჭდილება მოახდინონ უცხოეთში, დაარწმუნონ უცხოელები, განსაკუთრებით მუშათა კლასი, რომ საბჭოთა რუსეთში ვითომ ნამდვილი დემოკრატია არსებობს, მისცენ ევროპიელ კომუნისტებს საბაბი და საშუალება ბოლშევიკების საქებრათ და სადიდებლათ პროპაგანდა გასწიონ და მათ ირგვლივ მშრომელთ თავი მოუყარონ.

აი რას ამბობდა საბჭოების მე-7 ყრილობაზე კომუნისტების ზემოთ დასახელებული ორატორი გოლოდედი: «ყრილობის გადაწყვეტილებას საარჩევნო უფლებების რეფორმის შესახებ ექნება უდიდესი მნიშვნელობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მშრომელთა მასების გასაერთიანებლათ. ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელი მასები კიდევ უფრო მკვიდრათ შემოიკრიბებიან კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, საბჭოთა რუსეთის ავტორიტეტი ერთი ასათ გაიზრდება და ბურჟუაზიული პოლიტიკოსები დარწმუნდებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლება მძლავრი და უძლეველიაო». მეორე ორატორი კოსიორი თავმომწონეთ გაიძახოდა: «ჩვენ სოციალისტურ ქვეყანაში უფრო და უფრო ფართოვდება და იშლება საბჭოთა პროლეტარული დემოკრატიაო».

მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. საქმე უფრო იმაშია, რომ, მიუხედავათ იმ მლიქვნელ სიტყვებისა და ხოტბა-დიდებისა, რომელსაც დღეს სტალინს ასხამენ, მისი მდგომარეობა პარტიაში ვერ არის სანატრელი; ამას გამოსწორება ეპირვება და აქეთკენ არის მიპყრობილი მთელი მისი ყურადღება.

ჩვენ ვიცით, რომ სულ წინეთ ბოლშევიკები მუდამ პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურაზე ლაპარაკობდენ. ისინი ამბობდენ, რომ რუსეთის ბურჟუაზია სუსტი და რეაქციონური იყო და რევოლიუციონურ მოძრაობაში ის ვერავითარ აქტიურ პროგრესიულ როლს ვერ ითამაშებდა. რევოლიუცია პროლეტარიატმა და გლეხობამ უნდა მოახდინოს და მათი დიქტატურით ბურჟუაზიას დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენ დაუარსოთო.

შემდეგ მათ აზრი შეიცვალეს, ძალით და აჯანყების გზით ოქტომბრის გადატრიალება მოახდინეს და პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადეს. ნამდვილათ კი პროლეტარიატის დიქტატურა აქ არაფერ შუაში იყო და ქვეყნის მართველ ბატონპატრონათ და საზოგადოების ყველა ფენების მბრძანებლათ კომუნისტური პარტია გამოვიდა. სანამ ლენინი ცოცხალი იყო პარტიის საზოგადოებრივ აზრს რთნაირი ანგარიში კიდევ ეწეოდა და შინაურ კრიტიკას ასე თუ ისე გასავალი ქონდა. ლენინი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით მისი პარტიის. როგორც ძველ, ისე ახალ თაობაში და მას ლიდერობაში და პირველობაში არავინ ეცილებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი კომუნისტურ პარტიას თავი მოძვრა და მას დირიჟორათ პოლიტბიუროს კამარილა მოევლინა. შემდეგ პოლიტბიუროს წევრები ერთმანეთს დაუპირდაპირდენ და პარტიის ლიდერობისათვის მათ შორის სასტიკი ბრძოლა და შული გაჩაღდა. ათასნაირ ინტრიგებით, მანიოვრებით და ცილისწამებით ამ ბრძოლაში სტალინმა სხვებს აჯობა და პარტიას სათავეში მოექცა. მაგრამ ამავე დროს ამ შეხლა-შემოხლის პროცესში მან მისი პარტიის დიდი ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაიკიდა.

სტალინს ძალაუფლება აქვს ხელში, ის ეყრდნობა ჩეკის სისტემას, მისი ეშინიათ და ხმა გაკმედილი აქვთ. ასეთ პირობებში ის მოწყვეტილია არა თუ პროლეტარიატისაგან, მუშათა კლასისაგან, არამედ ის მორალურათ იზოლიაციაშია თვით კომუნისტურ პარტიაშიდაც.

და აი, დღეს სტალინის აგენტებიც ცდილობენ გლეხების, უპარტიო მასის გული რითიმე მოიგონ, კრებებზე მათ რეზოლიუციები გამოატანიონ სტალინის საქებრათ და სადიდებლათ და პარტიაში მისი ავტორიტეტის გასამტკიცებლათ.

ლენინი სტალინზე ათასჯერ უფრო მაღლა იდგა ყოველივე მხრივ, მაგრამ მას იმ ხოტბის მეათასედიც არ ღირსებია, რითაც დღეს სტალინს აჯილდოებენ. ლენინს ეს არც სჭიროდა. სტალინს კი სჭირია დღეს ყველაფერი ეს. ის წინეთ მხოლოთ პარტიულ ყრილობებს ესწრებოდა და იქ გამოდიოდა; ეხლა კი მას საბჭოთა მე 7 ყრილობის არც ერთი სხდომა არ გამოუშვია, ყველა კრებებზე დელეგატთა შორის ტრიალებდა, მათ საათობით ელაპარაკებოდა და პოპულიარობას ეძებდა.

ერთი დელეგატი, ვიღაც ავდეენკო, საბჭოთა ყრილობაზე ამბობდა, რომ ის წინეთ იყო ჯიბგირი ქურდი, შულერი, ავანტიურისტი, რომ მან გამოიცვალა ყველა პროფესიები, რომ ქურდობის დროსაც, როცა ის ვინმეს დანას უმიზნებდა, მასში მუდამ უდიდესი გაბოროტება და სიძულვილი ღვივოდა. «გაივლის საუკუნეებიო, გაიძახოდა ის, და მომავალი კომუნისტური თაობები ჩვენ ჩაგვთვლიან უბედნიერეს ადამიანებათ ყველა იმ მომაკვდავთა შორის, რომელთაც უამრავ საუკუნეთა განმავლობაში უცხოვრიათ ამ ქვეყანათ, მიტომ რომ ჩვენ გვინახავს სტალინი—ეს გენიალური ბელადი, ბრძენი, უბრალო და ნაზათ მოცინარიო». და აი ასეთნაირი სიტყვა არა მხოლოთ იყო წარმოთქმული კრებაზე და მას ისმენდენ სტალინთან ერთათ სხვა დელეგატები, არამედ ამ სიტყვის სტენოგრამა გამოქვეყნებულია აგრეთვე საბჭოთა გაზეთების ამ წლის პირველ თებერვლის ნომერში. მომავალ თაობებს ასეთი რამ უთუოდ აზიურ ბარბაროსობათ მოეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ეს ასე ხდება.

გლეხების გულის მოსაგებათ სტალინი დღეს საარჩევნო რეფორმას ახდენს. ამ რეფორმის პროექტით არჩევნები მომავალში თანასწორი იქნება. თუ წინეთ 125.000 გლეხი იმდენივე დელეგატს ირჩევდა, რამდენსაც 25.000 მუშა, ამიერიდან გლეხი და მუშა დელეგატებს ერთნაირი საზომით აირჩევენ და გლეხთა დელეგატების რიცხვიც წინანდელთან შედარებით ხუთჯერ მეტი იქნება, რუსეთის დიქტატორსაც ამით მეტი ქება-დიდება უნდა შეხვდეს. ახალი საარჩევნო კანონის შემოღებით მლიქვნელ ავდეენკოვებთა გამრავლებას და მათ შორის სტალინის პიროვნულ რეჟიმით უკმაყოფილოთა გათქვეფას ცდილობენ. «სოც. ვესტნიკის» თანამშრომელნი კი სტალინის საარჩევნო რეფორმას სთვლიან პირველ ნაბიჯათ. საიდანაც საბჭოთა რეჟიმის დემოკრატიზაცია უნდა დაიწყოს. მაგრამ ეს ხომ მათი ჩვეულებრივი ილიუზიებია.

სტალინი ცდილობს მის წინააღმდეგ არსებული უკმაყოფილება გადალახოს, პოპულიარული გახდეს და თავისი პიროვნული რეჟიმი გაამაგროს. და ყველაფერი ამის სისრულეში მოყვანა მას უნდა კოლმეურნეთა და უპარტიო გლეხთა დახმარებით. მაგრამ არც ამ უკანასკნელთა შორის არის ნაკლები უკმაყოფილება ბოლშევიკების პოლიტიკით და რეჟიმით. მუშები, როგორც გლეხები ერთათ დასჯილნი არიან საბჭოთა რუსეთში არსებული დღევანდელი მდგომარეობით. საკმარისია ერთი რაიმე სერიოზული საბაბი, რომ ყველა ეს უკმაყოფილონი დაიძრან და სამუდამოთ წალეკონ ეს ბოლშევიკურ ჩეკისტური რეჟიმი.

პ. ცვარჯალაძე.

◆

ახლო წარსულიდან

ემიგრანტული პრესის ერთმა ნაწილმა ასტეხა უადგილო დავა რუსულ-ქართულ ენაზე იმის შესახებ თუ ვინ პირველად სთქვა სიტყვა კონფედერაცია კავკასიისათვის. «კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგ დაჟინებით, ცხადათ და ფარულად ოპოზიციას აწარმოებდენ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებმა ახლა პაქტს ხელი მოაწერეს»-ო, სწერენ ისინი.

მართალია ეს? ამისთვის საჭიროა გავიხსენოთ ზოგი რამ ახლო წარსულიდან.

როგორც ვიცით, საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტია, როგორც თვითმპყრობელობის ხანაში, ისე რევოლიუციის დროს, სანამ რუსეთის რევოლიუცია ცოცხლობდა. მოღვაწეობდა მთელი რუსეთის მასშტაბით. მაგრამ ბოლშევიკების გაბატონებამ რუსეთი დაშალა, დაანაწილა მრავალ ერთეულათ; განაპირა ქვეყნები მოსწყდენ ცენტრს, დაირღვა მათ შორის არსებული კავშირი, დაიქსაქსა გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტი. ამ საერთო არევ დარევას კერძოთ ჩვენთვის მოჰყვა მეტად მრისხანე საშიშროება—კავკასიის ფრონტის გატიტვლება. გაგრძელება ომის ადგილობრივი ძალებით ფუჭი ოცნება იყო. დადგა მთელი სიმწვავით საკითხი თუ როგორ დაგვეცვა თავი ოსმალების ან სხვა ქვეყნის მონობისაგან. ბოლშევიკებმა ზავი ჩვენს ხარჯზე იყიდეს, ოსმალეთს მისცეს ბათუმი, ყარსი და არდაგანი. საკითხი თუ როგორ მოგვეხერხებია ამ ოლქების შენარჩუნება და ზავის მიღება იყო მეტის მეტად რთული, მეტის მეტად ძნელი. ვიცოდით რომ იმ პირობებში რუსეთი ვერ გაგვიწევდა ვერავითარ დახმარებას. მაგრამ მასთან ფორმალური კავშირის გაწყვეტა ჩაგვაგდებდა ოსმალთა ხელში და როცა რუსეთი კვლავ აღსდგებოდა—ჩვენი ქვეყანა ოსმალეთისა და რუსეთის სათარეშოთ გახდებოდა. ამიტომ რაიმე შანსები გარანტიისა წინდაწინ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და მოფიქრებული. აჩქარებული ნაბიჯი, მოუფიქრებელი ორიენტაცია უსაშინელეს უბედურებას დაგვატეხდა თავს და ამიერკავკასიის ზოგი ერები, შესაძლებელია, ფიზიკურადაც სულ ამომწყდარიყვენ.

ვის შეეძლო დახმარება? ამის იმედი არსაიდან იყო. იყო მხოლოდ ერთად-ერთი გზა—თუ ამიერკავკასიის ყველა ერები მჭიდროთ შეკავშირდებოდენ მთლიანობის და თავისუფლების დაცვის პლათფორმაზე. საერთო პლათფორმის გატარება კი შეეძლო მხოლოდ საერთო ორგანოს და აი 21 იანვარს, ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, ნ. ჟორდანია თავის ვრცელ მოხსენებაში საერთო მდგომარეობის შესახებ ამბობს: დამფ. კრების გარეკის გამო ამიერ კავკასია თავის ანაბარა დარჩა. იმედი მისი შეკრების ახლო მომავალში არ არის. ამიერ-კავკასიამ თვითონ უნდა მოუაროს თავის თავს. არის მრავალი საკითხები, რომელთა გადადება კატასტროფას გვიქადის. უნდა შეიკრიბოს არჩეული დეპუტატები, რომლებიც თავის თავს ამიერ-კავკასიის სეიმათ გამოაცხადებენ. ეს არ იქნება საშვალება ყველა უბედურებათაგან თავის დასახსნელად, მაგრამ ეს არის გამოსავალი გზა, რომელმაც შეიძლება აგვაცდინოს მოსალოდნელი კატასტროფაო. სხვა ჯგუფების მოთხოვნით კრება შეწყდა ათი წუთით. განახლების შემდეგ ნაციონალ დემოკრატების სახელით გ. ქიქოძე აცხადებს რომ მენშევიკების არჩეული გზა ვერ არის სწორი. ჩვენ თავი უნდა დავანებოთ სხვა ერების ერთიმეორეში მორიგების ცდას და მხოლოდ ჩვენს საკუთარ თავზე უნდა ვიზრუნოთ. ისე კი მაინც ვაცლით მენშევიკებს ამოსწურონ თავიანთი ილიუზია, სანამ არ დარწმუნდებიან თავიანთ ცდის უნაყოფობაში. ჩვენ მხარს დაუჭერთ სეიმს «იმდენათ-რამდენათ» პრინციპით და შესაფერ ოპოზიციას ვაწარმოებთო. სხვა ფრაქციებმა კი მხარი დაუჭირეს მომხსენებელს, მარა იმ მოტივით რომ—«მასში ვხედავთ განხორციელებას ეროვნულ თვითმართველობის პრინციპს»-ო («ერთობა» № 17. 1918 წ.).

ასე და ასეთ პირობებში იშვა ამიერ კავკასიის საოლქო ერთეული სეიმის სახით. მაგრამ ეს საერთო ორგანო პირველი დღიდანვე შეეჯახა ჩვენი ნაციონალისტების მტრულ განწყობილებას, რომელთა მთელ საქმიანობას შემდეგში საფუძვლათ დაედვა პრინციპი—«ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვიზრუნოთ»-ო.

არა ნაკლებ მტრულად შეხვდენ სეიმს სხვა ერის ნაციონალისტებიც. ყველა ესენი თავის შეხედულებას ასაბუთებდენ ასე: რუსეთი დანაწილდა მრავალ ერთეულათ, ახლა ჯერი მიდგა ამიერ-კავკასიაზე, უნდა დანაწილდეს ეს კუთხეც ეროვნულ ერთეულებათ. თვითეულმა ეროვნებამ ცალკე უნდა მოიწვიოს საკუთარი დამფ. კრება და შემდეგ ეს სახელმწიფოები შექმნიან ამიერ-კავკასიის ფედერალურ საბჭოსო. ამ რიგათ, საერთოს დაუპირდაპირდა კერძო, კუთხური, ცალკე ეროვნული.

პატარა ერების ბედი მაშინდელ ისტორიულ ხანაში (და დღესაც) მეტად უნუგეშო იყო. გამწვავებულ ბრძოლაში, რომელსაც დიდი სახელმწიფოები აწარმოებდენ ერთმანეთს შორის—ეს ერები ადვილად ხელწამოსაკრავი ერთეულები იყო, რომელთა ბედს ერთი კალმის მოსმით სწყვეტდენ, ხშირად დაუკითხავადაც. ამიერ-კავკასიის ერებისათვის ამ მხრით მდგომარეობა განსაკუთრებით საბედისწერო იყო. მთლიანი ამიერ-კავკასია კიდევ წარმოადგენდა ძალას, რომელსაც შეეძლო უზრუნველ ეყო თავის არსებობა. მაგრამ ამიერ კავკასია დაყოფილი—ეს მხოლოდ იოლათ გადასაყლაპავი ლუკმა იქნებოდა მეზობელ სახელმწიფოსათვის. ასეთი დაყოფა პირდაპირი მისი ინტერესი იყო, რადგან მაშინ ის დიდი ენერგიის დაუხარჯველად შესძლებდა თავის საზღვრების კავკასიონის ქედზე მიბჯენას. და აი როცა ნაციონალისტები ასე დაჟინებით ითხოვდენ ამიერ-კავკასიის დაქუცმაცებას თავის და უნებურათ უადვილებდენ თათრების ფაშებს თავის მიზნების განაღდებას. ვერ ამჩნევდენ რომ თუ არა ამიერ-კავკასიის მასშტაბით—ვერც ანარქიასთან ბრძოლას შევსძლებდით, ვერც წესიერებას დავამყარებდით და რომ აუცილებელი იყო ეროვნებათა შორის მშვიდობიანობა, თორემ გვერდით დაწყებული ანარქია აქეთ-იქითაც გადახეთქდა და სიკეთეს არ დაგვაყრიდა. მიუხედავათ ყოველივე ამისა სეიმი შეიკრიბა. ჩვენი ცხოვრების მოწყობა-განახლების საქმეში ახალი ხანა დადგა. მისი ორგანო შეიქნა სეიმი.

რა უნდა ეკეთებია სეიმს? სეიმმა საერთო ავტორიტეტული მთავრობის შედგენასთან ერთად თავის მთავარ მიზნათ უნდა დაისახოს—ამბობს ნ. ჟორდანია 15 თებ. სეიმის სხდომაზე—ჩვენი პატარა მხარის ამიერ-კავკასიის ცხოვრების საკუთარი ძალით მოწყობა. იმ მომენტის ცდა, როდესაც რუსეთთან კავშირი აღსდგება—შეუძლებელია. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი დღეს—ეს ნაციონალური საკითხია. ამ კითხვას აქვს ორი ფორმა: ამიერ-კავკასიის დამოკიდებულება ცენტრთან და ერთა შორის დამოკიდებულება ამიერ-კავკასიაში. პირველი საკითხი უფრო მნიშვნელოვანი დღეს მოხსნილია. ჩვენ თვითონ არ ვიცით როგორი იქნება ერთი თვის შემდეგ ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან; არ ვიცით გვექნება თუ არა მასთან რაიმე დამოკიდებულება. შინაური საკითხის მოწყობა რთული საკითხია. სეიმი თავიდანვე უნდა შეუდგეს მას. ეროვნული საკითხის ძირითად მნიშვნელობას ვერავინ უარყოფს. რაკი რევოლიუციამ საშვალება მისცა ერებს თავისი ბედი გადასჭრან, ამით მყარდება ეროვნებათა ცალკე არსებობა და თვითეული თვითმართველობა ბუნებრივათ ეროვნულ სახეს მიიღებს. ამიერ-კავკასიაში მრავალი ერებია, როგორ განხორციელდეს ერთი ერის თვითმართველობა, რომ ამით მეორეს ხელი არ შეეშალოს? რა საფუძველზე უნდა მოეწყოს ეს? ერთად ერთი საფუძველი რომელზედაც ეს შენობა უნდა აეგოს არის ეროვნებათა თანასწორ უფლებიანობა. უკეთუ ცალკე ერები იმპერიალისტურ მოთხოვნებს წამოაყენებენ მშვიდობიანობა ვერ დამყარდება. თავისთავად ცხადია, რომ ყოველ ერს ტერიტორია ესაჭიროება, რომ თვითმართველობა განახორციელოს. მაგრამ ამიერ-კავკასიაში არც ერთ ეროვნებას არ უჭირავს ისეთი ტერიტორია, სადაც სხვა ეროვნების წარმომადგენელნი არ ცხოვრობდენ. თუ ყველგან ეროვ. უმრავლესობა დევნას დაუწყებს ეროვ. უმცირესობას—გადაუჭრელი დარჩება სწორეთ ის საკითხი, რომელიც უნდა გადავჭრათ, ე. ი. ეროვნული საკითხი. ამიტომ ამიერ-კავკასიის ტერიტორია ისე უნდა დავყოთ რომ თვითეულ ნაწილზე განსაზღვრული ეროვნება დარჩეს; შეიძლება მოგვიხდეს ცალკე ქართველ, სომხურ და სხ. ეროვნულ სეიმების მოწვევა, ტერიტორიის რამდენიმე კანტონათ დაყოფა და სხ... («ერთობა» № 40, 1918 წ.).

ამ ვრცელ ამონაწერში თითქმის სავსებით ასახულია სეიმის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება. მაგრამ როგორც ზევითა ვთქვით სეიმს თავიდანვე გაუჩნდა ოპოზიცია, რომელსაც არ სურდა რომ მას ორგანიული მუშაობა ეწარმოებია და მაზე დაკისრებული მიზნები გაენაღდებია. სეიმმა მხოლოდ ნიადაგი უნდა მოუმზადოს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიებს და შემდეგ დაიშალოს—აცხადებდენ ისინი. გაზ. «საქართველო» საჯაროთ აცხადებდა რომ სეიმის კანონმდებლობას არ სცნობს და არც სავალდებულოთ მიიღებენ მას. ... ამიერ კავკასიის საერთო პოლიტიკის, საერთო რეფორმების და საერთო გზით პოლიტიკური გარდაქმნის ფიქცია დაემხობა და ყველა ერები შეუდგებიან ახალ პოლიტიკურ ცხოვრების დამყარებას. ... მხოლოდ ჩვენს პოლიტიკურ დონკიხოტებს არ დაუკარგავთ ჯერ კიდევ მთელი ამიერ კავკასიის აშენების იმედი თანახმად თავისი ინტერნაციონალური პროგრამისა. ჯერჯერობით მათი პოლიტიკის შედეგი ის არის, რომ ქართველ ერს თავზე დაუსვეს ამიერ-კავკასიის კომისარიატი რუსული, სომხური და თათრული შემადგენლობით—სწერდა იგივე გაზეთი... დაუყონებლივ უნდა შედგეს დროებითი ეროვნული მთავრობა და სხ. («საქართველო» 7 თებერვალი 1918 წ.). «საჭიროა თავი დავანებოთ თვითმპყრობელობისაგან შეთვისებულ კავკასიის ერების ერთეულად გარდაქმნას, საჭიროა დაუყონებლივ გამოყოფა საქართველოსი და მის საზღვრებში მართვა-გამგეობის მინიჭება ეროვნულ საბჭოებისათვის» («ვოზროჟდენიე» 3 იანვარი 1918 წ.).

ამიერ-კავკასია მრავალ ერთა კრებულია. სამწუხაროთ ამ ერების ბედი არ აღმოჩნდა ერთიმეორეზე ისე მჭიდროთ გადაბმული რომ გაეგოთ ერთიმეორის გასაჭირი და ერთიმეორისათვის მხარი მიეცათ. თვითეულ ამ ერთაგანს შეეძლო დანარჩენების დაღუპვა, მარა მხოლოდ თავის დაღუპვის ფასით და ვერც ერთი ამ ერებიდან ვერ გადაირჩენდა თავს ისე, თუ მთელ თავის ძალას, მთელ თავის მონდომებას არ მოახმარდა აგრეთვე დანარჩენ ერთა გადარჩენას ამიტომ ათასჯერ მართალი იყო ამხ. კაკი წერეთელი. როცა მან სეიმის ტრიბუნიდან განაცხადა: ამიერ-კავკასიის ერები ან ერთად გადარჩებიან, ან ერთად დაიღუპებიანო. ამის შეგნება კი ერების ნაციონალისტურ ნაწილში, რომლებიც ზოგან მეტად გავლენიანი იყვნენ, სამწუხაროთ, არ აღმოჩნდა.

და აი ამ დამქსაქსველ ძალთა მუშაობის დროს, ამ დამარღვეველ პოლიტიკის ხანაში, ამიერ კავკასიას ყავდა მხოლოდ ერთად-ერთი ერდგული დარაჯი—ამიერ კავკასიის დემოკრატია, სოც.-დემოკრატიის მეთაურობით. მხოლოდ ეს იყო ის ძალა, რომელსაც ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი იდეა ერთა სოლიდარობისა, რომელსაც სულითა და გულით სწადდა თავისუფლება და თანასწორობა ყველა ერების. როგორც ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ისე პოლიტიკურის და სტრატეგიულის მოსაზრებით ის თავგამოდებით ესარჩლებოდა ამ.-კავკასიის რესპუბლიკების ერთობას, ამ რესპუბლიკების საზღვრებში მობინადრე ერების სოლიდარულ მუშაობას. სამწუხაროთ, ყველა ერში ეს დემოკრატია თანასწორად განვითარებული და ძლიერი არ აღმოჩნდა. ეს იყო ამიერ-კავკასიის უდიდესი უბედურება. სამაგიეროთ აღმოჩნდა ფრიად განვითარებული ნაციონალისტური ძალები და ეს იყო მისი ერთი ორათ უარესი უბედურება.

ამ შეხედულებათა განსხვავებიდან გამომდინარეობდა განსხვავება ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმის გამონახვაშიაც. როგორც ვიცით სეიმმა ამიერ კავკასია აღიარა დემოკრატიულ და ფედერატიულ რესპუბლიკათ. სამი უმთავრესი ეროვნება იმდენათ განირჩეოდენ ერთიმეორისაგან კულტურით, ზნე ჩვეულებით და განვითარებით რომ მათი ერთ კალაპოტში ჩაყენება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამიტომ. წინააღმდეგ კონფედერაციისა დემოკრატიამ მხარი დაუჭირა ფედერაციას. რატომ? როგორც ვთქვით დემოკრატია იდგა ამიერ კავკასიის მთლიანობის ნიადაგზე და იყო წინააღმდეგი მისი დანაწილების. კონფედერაცია კი ძალიან ახლო დგას ამ დანაწილება-დაცალკევებასთან. ფედერაცია გულისხმობს ისეთ წყობილებას, როცა ცალკე ნაწილები დამოუკიდებლათ გახაგებენ შინაურ საქმეებს, მაგრამ საერთო საქმეში მჭიდროთ არიან შეკავშირებული. ფედერაციის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება საერთო დადგენილებას არ დაემორჩილოს. კანონმდებლობის ერთგვარი მინიმუმი ყველასათვის სავალდებულოა. ერთი სიტყვით ფედერაცია გულისხმობს უფრო მეტ საერთოს მთელი რესპუბლიკისათვის, ვინემ ცალკე ნაწილისათვის. კონფედერაცია კი, პირიქით, გულისხმობს მეტს ნაწილისათვის, ნაკლებს საერთოსათვის.

ეს მთლიანობა არ იყო ჩვენი ქინიანობის შედეგი და ჩვენი ნებით არც ავიღებდით მაზე ხელს. მაგრამ ვიწრო ნაციონალისტური ტალღა აჰყვა ისტორიულ სტიქიას და ამიერ კავკასიის მთლიანობა შეუძლებელი გახადა. გამთიშველი ელემენტები უფრო ძლიერი გამოდგა, ვინემ შემაერთებელი. ის დაიშალა და, როცა ამ დაშლას დემოკრატია დასტიროდა, ნაციონალისტები ხარობდენ და ზეიმობდენ. ამიერ-კავკასიის დაშლამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ცალკე მოწყობის საკითხი და ის კიდევაც გამოცხადდა 26 მაისს. და აი ამ სადღესასწაულო სხდომაზე ნ. ჟორდანიამ, ქართველი ერის სახელით. აღიარა რა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ—დასძინა: «საქართველოს ხალხი, გაერთიანებული საერთო დროშის ქვეშ, დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომელნიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს გარეთ და ამ გზით აღსდგება სახელმწიფოებრივი ერთობა, და აღადგენს ჩვენ თვალწინ დანგრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიიმართება ასეთი კავშირის შექმნისაკენ».

ამ რიგათ, არსებული მთლიანობის შერჩენა ფედერაციის საშვალებით წარსულში, დარღვეული ერთობის აღდგენა კონფედერაციის საშვალებით აწმყოში—აი ჩვენი გზა ამ ხაზზე.

დღეს ეს ფორმა კონკრეტიულ გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა აქტებში. რა უყოთ რომ ეს ხდება ემიგრაციაში; რა უყოთ რომ მას დიდი დაბრკოლებანი უდგას წინ; რა უყოთ რომ ის დღეს აბუჩათ არის აგდებული. ეს ხომ დროსა და პირობების ბრალია. დრო და პირობები კი ცვალებადია და ვის შეუძლია სთქვას რომ ეს ცვალებადობა კავკასიის ერების სასარგებლოთ აროდეს მოხდება. და აი როცა ეს მოხდება ის უკვე მომზადებული შეხვდება ამას და განთავისუფლებული ერები საერთო მუშაობით სულ ადვილათ გამოასწორებენ ყველა იმ ნაკლს, რომელიც თან ახლავს ამ ემიგრაციაში შექმნილ ერთობისა და სოლიდარობის პაქტს. და თუ კავკასიის ნაციონალისტურმა წრეებმა ახლა მაინც შეითვისეს ის აზრი რომ გარეშე ეროვნებათა სოლიდარობისა შეუძლებელია კავკასიის საქმეების ნაყოფიერად მოწესრიგება—ჩვენ კმაყოფილების მეტი არა დაგვრჩენია რა და რომ ამაში საბოლოვოთ დარწმუნებული ვიყოთ სიხარულითაც მივესალმებოდით მას...

გრ. ურატაძე.

◆

პარტიიდან გამდგართა «სიმართლე»

ქართულ ემიგრანტულ პრესას მიემატა კიდევ ერთი ახალი ორგანო—«სოციალისტური აზრი». ჩვენ სიამოვნებით მივეგებებოდით მის გამოსვლას რომ მას არ ახასიათებდეს ერთი აშკარა ტენდენცია, რომელიც მის მთავარ შინაარს შეადგენს. ეს არის ბრძოლა ჩვენი პარტიისა და მისი საზღვარ გარეთელ ბიუროს წინააღმდეგ და ისიც ბრძოლა არასაკადრის საშვალებებით.

დასახელებული ორგანოს ირგვლივ შემოკრებილმა ჩვენ ორგანიზაციიდან გადამდგარებმა ჯერ ორი რვეული გამოსცეს, შემდეგ პერიოდული გამოცემაც გაიჩინეს და ქვეყანას აუწყეს, რომ გააცნობდენ თავიანთ მკითხველებს «სიმართლეს შინაპარტიულ დავის» შესახებ; სინამდვილეში კი ყველა ეს გამოცემები ემსახურებიან სიმართლის დამალვას და მკითხველთა შეცდომაში შეყვანას. ამას ცხადათ ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველა ეს გამოცემები გვერდს უვლიან ორგანიზაციულ წყობის იმ ახალ წესებს. რომლის ირგვლივ გაერთიანდენ ყოფილი «ცენტრის» ერთი ნაწილი და ძველი «პოზიცია». ეგ ახალი წესები სრულიად არის გამოქვეყნებული გასული წლის «ბრძოლის ხმა»-ში (ოქტომბერი, № 36) და ვინც მას გაეცნო, ვერ იტყვის, რომ

იგი არ არის უაღრესად დემოკრატიული. საზღვარგარეთელი ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიისა მტკიცეთ დგას ამ წესების საფუძველზე, იგი მას გაუხრელად ატარებდა და ატარებს ცხოვრებაში. «აზრელები» კი ყოველივე ამას უმალავენ თავიანთ მკითხველებს და დღესაც თუთიყუშივით იმეორებენ—«სისტემა არ არის დემოკრატიულიო».

«აზრელები» არ ერიდებიან არც ისეთ ურიგო დემაგოგიას, როგორიც არის «თავისუფალი აზრის აკრძალვა», «პიროვნული რეჟიმი» და პიროვნების «კერპად» გამოცხადება, «მუხლის ჩოქვა», «პარტიული პოსტების» ძებნა, «ჩინოვნიკური სულის» დაბადება და სხვა; არ ერიდებიან არც აშკარა სიცრუის თქმას და მოჭორილი ამბების გაზეთის ფურცლებზე ბეჭდვას. აი მრავალ ასეთებიდან ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

«პარტია გახდა საზ. გარ. ბიუროს მაჩანჩალად, ბიურო კი თავის პრეზიდიუმის»-ო, ბრძანებს რ. არსენიძე.

აქნამდე ისინი გაიძახოდენ, რომ ებრძვიან საზღვარ გარეთელ ბიუროს და არა პარტიას; ახლა კი რ. არსენიძემ მათ ნიღაბი ჩამოხადა და პარტია ბიუროს მაჩანჩალად გამოაცხადა, თვითონ ბიურო კი—პრეზიდიუმის მაჩანჩალად; უკეთ რომ ვსთქვათ პარტია ყოფილა საზღვარ-გარეთელ ბიუროს პრეზიდიუმის მაჩანჩალა. მაგრამ «აზრელებმა» კარგად იციან, რომ ბიუროს პრეზიდიუმი არ ყავს; მას ყავს მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი, რომელნიც არავითარი პრივილეგიით არ არიან აღჭურვილნი, გარდა იმისა, რომ ასრულებენ ბიუროს დადგენილებებს. თავმჯდომარეს და მდივანს არა აქვთ მინიჭებული უფლება რაიმე დადგენილება გამოიტანონ გარეშე ბიუროსა და არც გამოაქვთ. ვიმეორებ, რომ ბიუროს არ ყავს პრეზიდიუმი და ცხადია, რომ ვერც პარტია და ვერც ბიურო ვერ გახდებოდენ არ არსებული პრეზიდიუმის მაჩანჩალებათ. მაშ ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო ასეთი სიცრუის შეგნებულად ვრცელება?!.

ასეთი მარგალიტები ისე უხვათ არის გაფანტული «სოციალ. აზრად» მონათლებულ ამ ორგანოს ფურცლებზე, რომ მათი სათითაოდ აღნუსხვა ძალიან შორს წაგვიყვანდა; ეს არც არის საჭირო: ქართველი მკითხველი არც ისეთი უვიცია, რომ ჭორი და ინსინუაცია თავისით ვერ გაარჩიოს სიმართლისაგან. უმჯობესი იქნება მკითხველს ის ვუამბოთ, რასაც «აზრელები» მას ბეჯითად უმალავენ, ან სრულიად გადამახინჯებულათ აწვდიან.

«სოც. აზრის» № 1-ში მოთავსებულია მათი საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც იუწყება, რომ გასული წლის აპრილში მოწვეული კონფერენცია თურმე «ფრაქციული» ყოფილა და ოპოზიციონერებისთვის «მისი მოწვევა არც კი უცნობებიათ» (ხაზი ჩვენია. ბ. ა.). ამავე ორგანოს № 2-ში დ. ბუაჩიძე გვიამბობს, რომ «ბიუროს ჯგუფმა (sic!) უარყო ორგანიზაციების მიერ კონფერენციის მოწვევა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა პარტიული ტენდენციები»-ო და დასძენს: «თვითონ ჩუმათ მოიწვიეს თავის ჯგუფის «კონფერენცია»-ო. ნათქვამია—ნამუსი კარგი საქონელიაო, და ზედმეტი არ იქნება გავარკვიოთ ვის აკლია ეს «კარგი საქონელი».

საზ.-გარეთელმა ბიურომ, თანახმათ ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ სურვილისა, მოიწვია კონფერენცია. კონფერენციის დღეთ პირველად დანიშნული იყო 1933 წლის 23 დეკემბერი. კონფერენციის მოწვევა ბიურომ აცნობა ოპოზიციონერებსაც, რომლებმაც თავისი თავი თავისი ნებით დააყენენ უცხოეთში არსებულ ორგანიზაციების გარეშე, და წინადადება მისცა დაბრუნებოდენ ორგანიზაციას და მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციის მუშაობაში. ამ წინადადების ირგვლივ გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც სწორეთ «აზრელთა» წყალობით თუ ჭირვეულობით ისე გაჭიანურდა, რომ აუცილებელი გახდა კონფერენციის გადადება, სანამ მოლაპარაკება ავად თუ კარგად დასრულდებოდა.

პირველად ყოვლისა მათ მოითხოვეს, რომ ბიუროს გაეშვა მის მიერ შედგენილი კონფერენციის მომწვევი ტეხნიკური კომისია და კონფერენციის მოწვევა გადაეცა ახალი კომისიისათვის, რომელშიაც შევიდოდენ «სამივე ტენდენციის»*) წარმომადგენლები. ეს კომისია უნდა ყოფილიყო კონფერენციის ერთად ერთი და უშუალო ხელმძღვანელი, ე. ი. ბიუროს უნდა გაეუქმებია თავისი თავი. ჩვენი პარტიის უცხოეთში მყოფი ყველა ორგანიზაციები ურეზერვოთ უჭერდენ და უჭერენ მხარს ამ ბიუროს, რომელიც არის არა «ხელოვნურად შერჩეული, მეტად თვინიერი კრებული», როგორც ამას ბრძანებს დემოკრატიის «უებარი» დამცველი დ. ბუაჩიძე, არამედ სავსებით დემოკრატიული წესით შედგენილი. მისი კანდიდატები დასახელებული იყვენ იმ მხარეების მიერ, რომელთა შორის მოხდა შეთანხმება 1933 წლის გაზაფხულზე ზევით დასახელებულ ორგანიზაციის ახალი წყობის საფუძველზე (სხვათა შორის დატოვებული იქნა ორი ადგილი ბიუროში და ერთი სარედაქციო კოლეგიაში ოპოზიციონერებისთვისაც იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი გულს მოიბრუნებდენ და გადაწყვეტდენ საერთო პარტიულ მუშაობის ფერხულში ჩაბმას). კანდიდატთა სია წარეგზავნა საქართველოში პარტიის ცეკას და იყო მის მიერ დამტკიცებული. ზედმეტია იმისი თქმა, რომ ამ ბიუროს არ შეეძლო, უფლება არ ქონდა თავისი თავი გაეუქმებია მხოლოდ იმისთვის, რომ იგი,—პირადი ამბიციების თუ სხვა უსაფუძვლო მიზეზების წყალობით,—არ მოსწონდა «აზრელთა» მცირე რიცხვს წინაალმდეგ დიდი უმრავლესობისა. მაგრამ ბიურო მაინც დიდ დათმობებზე წავიდა, ოღონდ კი ისინი მოებრუნებია საერთო პარტიულ მუშაობისაკენ. ამის ნათელსაყოფად სავსებით საკმარისი იქნება გავაცნოთ მკითხველს ის უკანასკნელი წინადადებები, რომელნიც ჩვენ მათ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ წერილობით წარვუდგინეთ და ვსთხოვეთ საბოლაო პასუხი.

აი ეგ წინადადებებიც:

«1. საზ.-გარ. ბიუროს მიერ დანიშნული კონფერენციის მოწვევა ენდობა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ ყველა სამ ტენდენციათა წარმომადგენლები (თავისთავად ცხადია, რომ ამ ტენდენციათა შორის არ იგულისხმება «ორნატის» ჯგუფი). ამ კომისიას გადაეცემა მასალათ ბიუროს კომისიის ნამუშევარი. კომისიაში ყველა საკითხები წყდება შეთანხმებით.

2. სამივე ტენდენცია ერთმანეთს წინასწარ პირობას უდებენ, რომ არც ერთი მათგანი არ იქნება წინაალმდეგი იმის, რომ კონფერენციამ განიხილოს სრულად, მთელი თავისი სიგრძე სიგანით საკითხი შინაპარტიულ კრიზისის, მისი მიზეზების და მისი დამძლევი საშუალებების*).

3. სამივე ტენდენცია პირობას სდებენ: ა) რომ კონფერენციის კარები იქნება ღია პარტიის ყველა წევრთათვის, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, როცა კონფერენციის პრეზიდიუმი, რომელშიაც შევლენ ყველა ტენდენციათა წარმომადგენელნი, ერთხმად სცნობს საჭიროთ დახურულ კრების გამართვას; ბ) რომ კონფერენციის მუშაობისა და ოქმების გამოქვეყნება მიენდობა კონფერენციის მიერ არჩეულ განსაკუთრებულ კომისიას სამივე ტენდეციიდან შემდგარს. გამოქვეყნებული იქნება ყოველივე, გარდა კონსპირატიული ხასიათის საკითხებისა; გ) თითოეულ ტენდენციას და კერძო პირს უფლება აქვს კონფერენციის დაფასებისა პარტიის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კონფერენციის მუშაობის კრიტიკულ დაფასებას ადგილი ექნება, პარტიის წევრთათვის სავალდებულოა ეს კრიტიკა აწარმოონ მხოლოდ პარტიულ კრებებზე და მხოლოდ პარტიულ გამოცემებში.

4. სამივე ტენდენცია აღიარებს, რომ საზღვარგარეთელ ორგანიზაციების კონფერენციები იქნებიან მოწვეული პერიოდულათ.

5. კონფერენციის დადგენილებები სავალდებულოა ყველასათვის. ეს არ სპობს უმცირესობისათვის ამ დადგენილებების კრიტიკის უფლებას როგორც პარტიაში, ისე ინტერნაციონალში».

ეგ წინადადებები «აზრელებს» გაეგზავნა 24 იანვარს, ხოლო პასუხი კი მივიღეთ ერთი ჯგუფიდან 11 მარტის თარიღით და მეორედან 16 მარტის, ე. ი. თითქმის სრული შვიდი კვირის შემდეგ; ამ პასუხებმა გვამცნო, რომ ისინი ბიუროს არ სცნობენ და ამიტომ არ მიიღებენ მონაწილეობას მის მიერ მოწვეულ კონფერენციის მუშაობაში. აქედან კი სავსებით ნათელია, რომ კონფერენცია იყო მოწვეული არა «ჩუმად», არამედ ცხადათ და დღევანდელმა «აზრელებმა» შეგნებულად არ ინდომეს მონაწილეობა მიეღოთ მის მუშაობაში.

სადაოდ გახადეს აგრეთვე ჩვენი წინადადებების მესამე მუხლის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ოქმების გამოქვეყნებაზე «გარდა კონსპირატიული ხასიათის საკითხებისა». დავა გაიმართა იმის შესახებ, თუ რომელი საკითხი ჩაითვლებოდა კონსპირატიულად და რომელი არა. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი საკითხების გადაჭრა კონფერენციის კომპენტენციას შეადგენს, მაგრამ «აზრელებმა» ასე მარტივათ და დემოკრატიულად საკითხის გადაჭრა არ ინდომეს და მოითხოვდენ, რომ კონსპირატიული ხასიათის საკითხებათ ყოფილიყო ცნობილი მხოლოდ ისეთი საკითხები, რომელთაც ასეთად იცნობდა ოქმების გამომქვეყნებელი კომისია ერთხმად, ე. ი. საკმარისი იყო ერთ ოპოზიციონერს ყველა დანარჩენების წინაალმდეგ განეცხადებია ესა თუ ის საკითხი კონსპირატიული არ არისო და ყველანი მას უნდა დამორჩილებოდენ. აი ეს ხალხია ჩვენ რომ პარტიულ დემოკრატიას გვიწუნებს, პარტიაში პიროვნულ და დიქტატორულ რეჟიმის შემოღებას გვიკიჟინებს!..

ასე და ამნაირად მოლაპარაკება, სამწუხაროდ, უშედეგოთ დასრულდა. ამის შემდეგ ცდას აზრი არ ქონდა და ბიურომ კონფერენცია მოიწვია «გამდგართა» მონაწილეობის გარეშე. მას დაესწრენ უცხოეთში მყოფ ყველა ორგანიზაციების დელეგატები. კონფერენციის კარები ღია იყო პარტიის ყველა წევრთათვის და ვისაც დრო ქონდა და ხელი მიუწვდებოდა კიდეც ისარგებლა ამ გარემოებით. განხილულ იქნა დღის წესრიგში დასმული საკითხები და გამოტანილი იქმნა სათანადო რეზოლიუციები; ერთი მათგანი შეეხება დღევანდელ «აზრელებსაც» და გამოთქმულია იმედი, რომ მომავალში შეთანხმების «გარეშე მდგომი ამხანაგებიც შემოიკრიბებიან პარტიულ ხელმძღვანელობის ირგვლივ და გახდებიან მისი აქტიური დამხმარენი და დამცველნი» (რეზოლიუციები იხილეთ «ბრ. ხმა»-ში, № 43).

დასასრულ კონფერენციამ ფარული კენჭის ყრით დაასახელა ახალი ბიუროს კანდიდატები და თავის მუშაობა გამოაცხადა დასრულებულათ.

ყველა ამის შემდეგ ისინი მაინც ბედავენ სთქვან, რომ ჩვენ «ჩუმათ» მოვიწვიეთ «თავისი ჯგუფის «კონფერენცია». ყველა იმისთვის, ვინც ჯგუფური ჟინიანობით არ არის დაბრმავებული და გაბოროტებული, ცხადზე უცხადესია, რომ მოწვეული იყო არა ჯგუფური კონფერენცია, არამედ უცხოეთში მყოფი ყველა ორგანიზაციების. ამ ორგანიზაციებმა სიამოვნებითა და კმაყოფილებით შეხვდენ მას, მოიწონეს და მიიღეს მისი დადგენილებები. დ. ბუაჩიძე კი გამომდგარა და წარბგაუხრელად იძახის,—«ბიუროს ჯგუფმა უარყო ორგანიზაციების მიერ კონფერენციის მოწვევაო». ნეტავი რომელმა პარტიულმა ორგანიზაციამ მისცა ვექილობა ამ არამკითხე აპეკუნს, რომ მისი სახელით ილაპარაკოს?!. ერთი მაინც დაასახელოს ასეთი ორგანიზაცია.

სწორეთ,—უფრო მაგარი სიტყვა რომ არ ვიხმაროთ,—ახირებულ ხალხთან გვაქვს საქმე: თავი სიმართლისა და პატიოსნების მოციქულებათ მოაქვთ, ხოლო უპატიოსნო სიცრუეს კი გაზეთის საშუალებით ავრცელებენ; თავისი პატარა ჯგუფს უპირდაპირებენ დიდ უმრავლესობას, მის გადაწყვეტილებას არ სცნობენ, მის ნებასა და სურვილს არათ აგდებენ, პირიქით ცდილობენ ამ უმრავლესობას თავისი ნება მოახვიონ თავს და ამავე დროს პარტიულ დემოკრატიის დამცველობას ჩემულობენ; თუ ასმა ამხანაგმა ერთი ბუაჩიძის «სიბრძნე» არ გაიზიარა, ეს იქნება პიროვნული რეჟიმი, დიქტატურა, «ორგანიზაციების გათიშვა», მტრებისათვის «სადღესასწაულო სუფრის გაშლა» და სხვა მრავალი მომაკვდინებელი ცოდვა; ხოლო როდესაც ერთი ბუაჩიძე ასი პარტიული ამხანაგის აზრს არ გაიზიარებს და მას არ დაემორჩილება, ეს პარტიული დემოკრატიის ქურუმობა ყოფილა!..

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი კურიოზული ფაქტიც: «აზრელები» მოითხოვდენ დაგვეშვა კონფერენციაზე სრულ უფლებიან დელეგატებათ წარმომადგენლები «ორნატის» ჯგუფისა, რომელმაც მარქსიზმისა და სოც.-დემოკრატიული პარტიის წინაალმდეგ წამოწყებული ბრძოლით თვითონ დააყენა თავისი თავი პარტიის გარეშე*). ალბად მათი ლექსიკონით ამასაც «პარტიული დემოკრატია» ეწოდება. ასეთი დემოკრატია სავსებით «აზრელებისათვის» დაგვილოცნია.

ბ. არიძე.

---

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი «ცენტრის» ის პატარა ნატეხი, რომელსაც ცალკე ტენდენციათ მოაქვს თავი, არსებითად არაფრით განსხვავდება წერეთელ-არსენიძის ძველი «ოპოზიციისაგან». ძველ «ცენტრში» ეს ჯგუფი მომავალ «ორნატელთა» ბუქსირს წარმოადგენდა, ახლა კი არსენიძის მაჩანჩალაა.

*) ამ ხანებში შინაპარტიული კრიზისი უკვე განვლილი იყო, თუ კრიზისად არ ჩავთვლით მცირერიცხოვან ჯგუფის ორგანიზაციის გარეშე დგომას. მიუხედავად ამისა ეს საკითხი მაინც შევიტანეთ ოპოზიციის დასაკმაყოფილებლათ.

*) ამ დღეებში ეს («ორნატის») ჯგუფი, ორიოდე პირის გამოკლებით, შეუერთდა «თეთრი გიორგის» იმ ჯგუფს, რომელსაც ბ ნი ლ. კერესელიძე მეთაურობს.

◆

«სოციალისტური აზრი» და აგვისტოს აჯანყება

«სოციალისტური აზრის» მეორე ნომერში მოთავსებულია ეგრედ წოდებული «პასუხი «ბრძოლის ხმას», ბატონ მელუას ნაშრომი. ის თითქოს ცდილობს პასუხი გასცეს ჩვენს წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო «ბრძოლის ხმის» დეკემბრის ნომერში. წერილის ერთი ნაწილი პირადი ლანძღვა-გინებით არის სავსე, მეორე ეხება ჩვენს პარტიაში არსებულ დავას და მესამე თითქოს არის პასუხი ჩვენი წერილის. ლანძღვა-გინებაზე ჩვენ არაფერს ვუპასუხებთ ისეთ ადამიანს, რომელიც ავტორი არის ეხლა უკვე ორი წერილის, რომელშიდაც ის მთელს თავის «ნიჭს და უნარს» არ ზოგავს იმისათვის რომ აგვისტოს აჯანყება გააშავოს და ის მხოლოთ საზღვარგარეთელ ხელმძღვანელობის ავანტიურად გამოაცხადოს. ასეთი ადამიანისაგან ჩვენ არაფერს უკეთესს არ მოველოდით. არ გვაქვს არავითარი სურვილი არც მეორე საკითხზე ვეკამათოთ ისეთ პირს, რომელმაც ძალიან ცუდი როლი ითამაშა იმ მოლაპარაკების დროს, რომელსაც საზღვარ-გარეთელი ბიურო აწარმოებდა ოპოზიციასთან ხუთი თვის განმავლობაში კონფერენციის მოსაწვევათ. ვფიქრობთ აქ მისი მოღვაწეობის გამომჟღავნება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს მისი თანამოაზრეების წინაშე და ეს ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს. მაგრამ საჭიროა მაინც იცოდეს, რომ ყველაფერზე ლაპარაკის უფლება (ზნეობრივი) მას არა აქვს ამ საკითხზე მაინც.

პირადი ლანძღვის და ჩვენი ორგანიზაციული საკითხების გარშემო დავის აქ მოტანა საჭირო იყო მელუასათვის იმიტომ, რომ ამით მკითხველის ყურადღება მიეპყრო და აჯანყების საკითხში უკან დაეხია, ბევრი რამ მისი პირველი წერილიდგან უკან წაეღო. ის ეხლა მაინც ნაწილობრივათ ბრალდებას ხსნის საქართველოში აჯანყების ხელმძღვანელთ და მთელი იერიში საზღვარ-გარეთ გადმოაქვს. ჩვენის აზრით ეს უკვე დიდი პროგრესია. მართლაც შეუძლებელია ყველაფერის ერთბაშათ უარის ყოფა, რასაც გუშინ ასთე დიდი რიხით ამტკიცებდი და იცავდი. მოკლეთ მაინც უნდა შევეხოთ მის პასუხს ამ საკითხზე.

მელუა კვლავ იმეორებს: «რომ ნამდვილი მდგომარეობა გაშუქებულიყო და ხალხს სცოდნოდა არ იყო არც ცდა და არც იმედი უცხოეთის სამხედრო დახმარებისა, აგვისტოს პირობებში აჯანყებას არ მოაწყობდა». მაგრამ თქმა ამისა ადვილია, მით უმეტესს მაშინ, როდესაც ადამიანი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობ ნათქვამის წინაშე, სხვაა მისი დამტკიცება-დასაბუთება. ამისთვის რასაკვირველია მელუას არა სცალია. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ვიკითხოთ: ვინ უქადაგებდა ქართველ ხალხს რომ იყო ცდა და იმედი უცხოეთის დახმარების, სად, ვისგან და როდის მოისმინა მან ეს საქართველოში, რომელ არალეგალურ გამოცემაში საქართველოში იყო ასეთი რამ მსგავსი დაწერილი, ან რომელი საზღვარ-გარეთელი გამოცემა ეწეოდა პროპაგანდას აჯანყების სასარგებლოთ. ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ასეთი ბრალდების წამოყენება, თუ უნდა ვიფიქროთ რომ გაბოროტებულ ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, ყველაფერი ეპატიება... რომ ქართველი ხალხი არც ისთე ადვილათ უყურებდა აჯანყების საკითხს, ამისათვის საკმარისია გურიის მაგალითი. გურიის ორგანიზაცია უკანასკნელ დღემდე წინაალმდეგი იყო აჯანყების, ის მოითხოვდა მის მოხსნას, მაგრამ აჯანყებისას მან საუკეთესოთ შეასრულა მისი ამოცანა.

მაგრამ დამ. კომ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით მაინც დანიშნა აჯანყება და ქართველი ერი საბრძოლველათ გამოიყვანა. თუ რატომ მოხდა ეს დღეს ამაზედ კამათი არ არის მიზანშეწონილი, ეს მელუას კარგათ უნდა ესმოდეს. ერთი რამ მაინც აშკარაა: აქ არაფერ შუაშია საზღვარ-გარეთელი ხელმძღვანელობა, ამის მიზეზები საქართველოში უნდა ვეძიოთ და ეს ქართველი ერის ტრაღიული ისტორიის შესწავლის საქმეა.

დასამტკიცებლათ იმისა, რომ უნდა გაგვეთვალისწინებია ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა პ-ლ ცაგურიას წერილიდან ამონაწერის მოყვანა არ იყო აუცილებელი. ამისათვის დიდი «პოეტური სიძლიერე» არ არის საჭირო, ეს ყველასათვის გასაგებია და ყველაზე უკეთ ეს ანდრონიკაშვილმა იცოდა. ასეთი იყო პირველი გეგმაც აჯანყებისა, მაგრამ 29 აგვისტოს ტფილისში გამოსვლა ხომ შეუძლებელი და უაზრობა იყო. ამიტომ უკანასკნელათ მიღებულ იყო მე 2 გეგმა. ჩვენ ურჩევდით მელუას პოლ. ცაგურიას წერილის თავიდან ბოლომდე დაკვირვებით წაკითხვას და მისგან შესაფერი დასკვნების გაკეთებას.

«ჩვენ არ ვიცით ის დიდ-მნიშვნელოვანი შინაური სირთულეები, რომელიც კ. ანდრონიკაშვილის წინაშე იდგა იმ დროს». ეს ხომ მელუას სიტყვებია.

მაშასადამე თუ ჩვენ ეს არ ვიცით, ან ვიცით ნაწილობრივათ, რა უფლება აქვს ვინმეს აჯანყებას თავისი განაჩენი გამოუტანოს და ავანტიურად მონათლოს?

კ. ანდრონიკაშვილის ისტორიული სიტყვის, რომელიც მან დამკომის გასამართლებაზე წარმოსთქვა, მარტო «ჩეკისტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვათ» მონათლა, ისეთ ადამიანს შეუძლია რომლის კვალიფიკაცია გაზეთის ფურცლებზე ძალიან ძნელია. რომ ანდრონიკაშვილს თავისი სიტყვის მნიშვნელობა ესმის, ეს ჩვენთვის სადაო არ არის, მაგრამ ჩვენი სურვილია მისი სიტყვა მელუამაც გაიგოს და ისმინოს. შესაძლებელია თუ არა ეს ჩვენ არ ვიცით...

თურმე ჩვენ არა გვაქვს უფლება მოვიყვანოთ ამონაწერი იმ წერილიდგან, რომელიც «ცენტრის» და «ოპოზიციის» სახელით ცენ. კომიტეტს გაეგზავნა საქართველოში. ამის გამოქვეყნების მონოპოლიური უფლება მხოლოდ მელუას აქვს, იმ მისს გუშინდელ თანამოაზრეებთან ერთად, რომლებმაც ჯერ «ორნატში» მოიკალათეს, რომლის დიდი ნაწილი ეხლა «ქართული დარბაზის» სახელს ატარებს და შეიძლება საქართველოს მომავალი მონარქის ძებნაში არიან.

ჩვენ ამ დოკუმენტის გამოქვეყნების წინაალმდეგი ვიყავით სხვადასხვა მოსაზრებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს უკვე სხვების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტის შინაარსით ჩვენ არ ვისარგებლოთ.

მელუას მოყავს ამ წერილიდგან ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმაზედ, რომ საქართველოდგან საზღვარ-გარეთ საგანგებოთ გამოგზავნილ პირს, არ ეცნობა არც მთელი ბიუროს და არც ზოგიერთი ისეთი ამხანაგების აზრი, რომლებიც საზღვარ-გარეთ პასუხისმგებელ მუშაობას აწარმოებდენ. ეს ერთი სიმართლე მართლა მოიპოვება მელუას წერილში, ასეთი ადგილი ამ დოკუმენტში არის. მაგრამ რა შუაშია აქ საქართველოს აჯანყება და მისი დამარცხება!.. ეს ხომ მაშინ პარტიაში არსებულ რეჟიმის დასახასიათებლათ მოყვანილი მაგალითია, რომ აუცილებელი იყო ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს სცოდნოდათ აჯანყების ამბავი და საქართველოს კიდევ მათი აზრი. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მათი შეხვედრა შეცვლიდა აჯანყების საკითხისადმი მიდგომას საქართველოში, რომ საქართველოში აჯანყება არ მოხდებოდა?.. რა კავშირი აქვთ ამ ორ სულ სხვადასხვა მოვლენას ერთმანეთთან? წერილის ერთს ალაგას მელუა ამტკიცებს: დოკუმენტის მიზანი აჯანყების შეფასება არ იყო, არამედ დასურათება რეჟიმის; წერილის ბოლოში კი აცხადებს: «აქ იყო სწორად გათვალისწინებული ის სამწუხარო როლი, რომელიც აჯანყებისათვის ცალმხრივი ინფორმაციციის მიცემით (შეიძლება ვიკითხოთ რა იყო ეს ცალმხრივი ინფორმაცია?) და ხალხის მისტიურ პირობებში შეყვანით ითამაშეს იმ პირებმა, რომლებსაც საქართველოსთან კავშირი ქონდათ დავალებული»*). ჩვენ არ ვიცით სად დაუჯეროთ მელუას, პირველ ნაწილში თუ ბოლოში, არ ვიცით სად სტყუის და სად მართალს ლაპარაკობს.

ჩვენ არ ვიცით შინაარსი მარსელის შეხვედრისა, მაგრამ ჩვენ ვიცით ნ. ჟორდანიას იმ წერილის შინაარსი, რომელიც ბ. ჩხიკვიშვილთან ერთად ჩავარდა და რომლის ერთი ნაწილი ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს აჯანყებამდე. ამ წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ როგორი სახიფათო იყო აჯანყება არსებულ პირობებში საქართველოში, რომ თუ აჯანყება აუცილებელი იყო და მისი შეჩერება შეუძლებელი, ის უნდა დაწყებულიყო მთაში, შემდეგ ადერბაიჯანში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოსულიყო საქართველო. გარეშე ამ პირობისა საქართველოს გამოსვლა მარტოთ ყოვლათ დაუშვებელი იყო და საქართველოს საკითხი უნდა დაკავშირებულიყო რუსეთის საერთო რღვევასთან. მაგრამ აჯანყება საქართველოში მაინც მოხდა, ქართველი ერი მარტოთ, თავის თავის იმედით, ეკვეთა გაშმაგებულ მტერს, აგვისტოში ერის აჯანყებას ვერავითარი ძალა ველარ შეაჩერებდა... აგვისტოს აჯანყება დამარცხდა... მაგრამ... 29 აგვისტო ქართველი ერის ტრაღიულ ცხოვრების მანძილზე ის თარიღია, რომელიც ყველა ჩაგრული ერისათვის სულის ჩამდგმელია, ეს ის მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც მას გზას უნათებს იმ უსწორო ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებს დამპყრობლების წინაალმდეგ.

29 აგვისტო 26 მაისის შინაარსია, მისი ქვაკუთხედია. ეს დღე მოუწოდებს ყველა ქართველს არ დაივიწყოს ის წმინდა საფლავები, რომლითაც მთელი საქართველო მოფენილია. ჩვენი გმირების წმინდა სისხლი დანთხეული აგვისტოში, ეს ის ზღვაა, ზღვა გაუვალი, რომელმაც თავისუფალი საქართველო და ბარბაროსული რუსეთი სამუდამოთ ერთი მეორეს დააშორა, ხიდი მათ შორის ჩატეხილია—აგვისტოს აჯანყება ამისი უეჭველი თავდებია...

დაბოლოს ბატონი მელუა უსაზღვრო სამსახურს უწევს საქართველოს ჩეკას იმ შენიშვნით, რომელსაც ის აკეთებს თავის წერილის პირველ ნაწილში, სადაც აცხადებს, რომ გაზეთი «დამ. საქ.» თავის 104 ნომერში, არა თუ აგვისტოს შეფასებით კმაყოფილდება, კიდევ შორს იწევს და «ახალი აჯანყების საკითხსაც დღის წესრიგში სვამს». ჩვენი მიზანი სრულიად არ არის ამ ორგანოს დაცვა,—მისი ხელმძღვანელები ამას უკეთესათ შესძლებენ—მაგრამ ჩვენ გვინ-

---

*) ბ. მელუას ეს ადგილი სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. აჯანყებამდე არავის, არავითარ ორგანიზაციას არ ჰქონდა განსაკუთრებით დავალებული საქართველოსან კავშირი. ეს მოხდა მხოლოდ აჯანყების შემდეგ და ამის მიზეზი სწორეთ აჯანყებამდე არსებული წესის უვარგისობა გახლდათ. ხოლო ეს წესი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოში პარტიას სწერდა ყველა ვისაც ეს მოეპრიანებოდა და სწერდა რასაც თვითონ გამოიფიქრებდა. სტამბოლის «კავშირი» ყველა ამ წერილებს აგზავნიდა განუკითხავათ და შეუკითხავათ. აჯანყების წინ აქედან წავიდენ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგებისა. რომელთაც პირადათ გააცნეს პარტიას მდგომარეობა. რა აზრის იყვენ ესენი—ამის წერილობითი საბუთები მოიპოვება, რაიცა უეჭველია გამოქვეყნდება თავის დროზე: სწორეთ სამწუხაროა, როცა ახალგაზდა კაცი თავის სამწერლო დებიუტს იწყებს ემიგრაციაში გაგონილი ჭორებით...

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვკითხოთ ბატონ მელუას: გრძნობს თუ არა იმ პასუხისმგებლობას რომელსაც ის თავის თავს აკისრებს ასეთი განცხადებით. ბოლშევიკური ჩეკისათვის ხომ სავალდებულო არ არის ამის შემდეგ «დამ. საქ.» წერილების შინაარსის კითხვა, ხომ საკმარისია მელუას ავტორიტეტი და მოწმობა იმისათვის, რომ საქართველოდან რამოდენიმე ზედმეტი ეტაპი გაუსამართლებლათ და უსაბუთოთ რუსეთის კონცლაგერში გადაგზავნონ.

ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: ვის ემსახურება ბატონი მელუა საზღვარ-გარეთ? ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას თუ მისდა უნებურათ დამპყრობელების საქმეს და რუსულ ჩეკას?..

ა. ვადაჭკორია.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამ უკანასკნელ დროს ევროპის ჟურნალ-გაზეთები ბევრს სწერენ იაპონია-პოლონეთ-გერმანიის დაახლოვებაზე. ამ საკითხზე დაწვრილებით ცნობებს იძლევა გერმანიის სოც.-დემ. ორგანო «ახალი ფორვერტი», რომელიც პრაგაში გამოდის (№ 89, 24 თებერვალი) აქ ვკითხულობთ:

«დიდი მნიშვნელობის იყო ჰიტლერის სიტყვა წარმოთქმული მის მიერ იაპონიის ახალი ელჩის გრაფ მუშაკოჯის მიღების გამო, 7 თებერვალს. მან ხაზი გაუსვა ვიწრო პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს, რაც არსებობს გერმანია-იაპონიას შორის და გამოსთქვა სურვილი გერმანია იაპონიის კიდევ უფრო დაახლოვებისა. ამის წინ გერმანიის ოფიციალურ წრეებში დიდის ზეიმით შეხვდენ იაპონიის ფლოტის დელეგაციას. ეს გარეგანი შეხვედრები არის აშკარა გამოხატულება მუდმივი ვიწრო თანამშრომლობის გერმანიის და იაპონიის მთავრობების. ამ ჟამათ გერმანიაში იმყოფება იაპონიის მრავალი სამხედრო დელეგაცია, რომელნიც ეცნობიან შეიარაღების ინდუსტრიას, რაც უცხოელთათვის ჩვეულებრივ დახურულია. იაპონელებს თავის ქვეყანაში შეაქვთ გერმანული სისტემა ჰაერონაოსნობის, რისთვისაც გერმანიის ზაოდები უმზადებენ აუარებელ ჰაეროპლანებს. ამავე დროს გერმანიის მრეწველნი უახლოვდებიან იაპონიას, რომ იქიდან მიიღონ საჭირო ნედლი მასალა სამხედრო მრეწველობისათვის. სწორეთ ასეთივე დაახლოვება ხდება ამ ჟამათ პოლონეთ-იაპონიას შორის. პოლონურ პრესაში გამოიტანეს ძველი ამბავი, როცა პილსუდსკი, როგორც სოციალისტური პარტიის ლიდერი, რუს-იაპონელთა ომის დროს 1904 წ. ტოკიოში იყო და მთავრობას სთხოვდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ დახმარებას. ჯერ კიდევ გასულ წელს პოლონეთში მოვიდა სხვადასხვა სამხედრო დელეგაცია იაპონიიდან. ახლა იაპონიის სამხედრო ატაშემ მიიღო ნება გაეცნოს პოლონეთის მთავარ სამხედრო დაწესებულებათ. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ეს ატაშე ვარშავაში დანიშვნამდე იყო შეფი პირველი სექციის იაპონიის სამხედრო შტაბის და იდგა ამავე დროს მრავალ სხვა უმაღლეს სამხედრო პოსტობზე. ამავე დროს პოლონეთის პრეზიდენტის შვილი, ელჩათ ტოკიოში დანიშნული, დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმიანობას ეწევა როგორც იაპონიაში ისე მანჯურიაში. მთელი ამ მუშაობის მიზანია მოამზადოს ნიადაგი გერმანია-იაპონია-პოლონეთის კავშირის შესაქმნელათ.

«რა მიზანი აქვს ამ ახალ ინტერესთა კომბინაციას? მიზანია ექსპანსია, რისთვისაც მუშაობს თვითეული მათგანი. ჰიტლერის გერმანია საჭიროებს პოლონეთის დახმარებას ერთი მხრით ლიტვით ბალტიკის და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, ხოლო მეორე მხრით რუმინია ჩეხოსლოვაკიაზე ძალდატანებით საფრანგეთის საშუალო ევროპის კომბინაციების ჩასაშლელათ. მას ესაჭიროება პოლონეთი როგორც ხიდი უკრაინაში გადასახტომათ, რომ ალფრედ როზენბერგის ოცნება განხორციელდეს. პოლონეთი ეხმარება ამ პოლიტიკას ლიტვასან მოურიგებლობის გამო და უკრაინის პოლიტიკის გასამარჯვებლათ, რაიცა 1920 წ. დამარცხდა. იაპონიის მიზანია მანჯუკვოს შემოუერთოს გარეთმონგოლია და ამ გზით დაემუქროს საბჭოთა რუსეთის პოზიციას ციმბირში და თურქესტანში. იაპონიის გავლენიანი გაზეთი «ასახი» ამას წინეთ სწერდა, რომ გერმანია-პოლონეთის სამეგობრო ხელშეკრულობას ახლავს საიდუმლო მუხლი, რომლის ძალით ორივე შეიჭრა რუსეთში იაპ.-რუსეთის ომისდროს».

ოფიციოზურ გაზ. «ტანში» დაბეჭდილია (26 თებერვალს) შინაარსი ერთი წიგნის, რომელიც ახლა გამოსულა პოლონურ ენაზე ვარშავაში ამ სათაურით: ევროპის პოლიტიკური სისტემა და პოლონეთი». ავტორია სტუდნიცკი, მართველი წრეების აქტიური წევრი. ავტორი ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ და გადაჭრით დგას გერმანია-პოლონეთის კავშირის ნიადაგზე, რომ ამ გზით შეიქმნას «ცენტრალურ-ევროპიული ბლოკი». რაც შეეხება რუსეთს «პოლონეთის სახელმწიფოს ანტირუსეთის ფრონტი ურყევია... საბჭოთა რუსეთი ნაკლებ საშიშარია პოლონეთისათვის როგორც მტერი, ვინემ როგორც მოკავშირე. მაგრამ მისი საზღვრები არ უნდა დარჩეს იქ, სადაც ახლა არის. ევროპის უშიშროება მოითხოვს ერთი მხრით მის პოლიტიკურ გამაგრებას, ხოლო მეორე მხრით რუსეთისაგან გამორიცხვას ზოგი ქვეყნების დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით. განსაკუთრებულ დიდი მნიშვნელობის იქნება მისგან ჩამოჭრა კავკასიის, თავის უდიდესი ნავთის და მარგანეცის სიმდიდრით. არანაკლები მნიშვნელობისაა ჩამოშორება თურქესტანის და მისი ბამბის». ამასთანავე უნდა მოხდეს რევიზია «პოლონეთ-რუსეთის საზღვრების, რაც გააფუჭა რიგის ხელშეკრულობამ». სად უნდა გათავდეს პოლონეთის საზღვრები? «ის თავდება იქ სადაც თავდება არიელი სისხლი, მონგოლო-ფინური სისხლის შეურევლათ» (ე. ი. დიდი რუსების). ამ მიზნით უნდა იქნას განთავისუფლებული უკრაინა. რაც შეეხება იაპონიას «მას უნდა ეკუთვნოდეს შორეული აღმოსავლეთი ბაიკალის ტბამდე». პოლონეთი პირდაპირ დაინტერესებულია იაპონია-რუსეთის ომში. «როგორც 1904 წ. იაპონიის გამარჯვება გახდა რუსეთის ძლიერების დანგრევის დასაწყისათ და პოლონეთის აღდგენის პირობათ, ისე იაპონიის გამარჯვება მომავალ ომში არის პირობა ჩვენი სახელმწიფოს გამაგრების».

◆

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

ნეო-სოციალისტები.

იანვრის დამლევ რიცხვებში პარიზში ადგილი ქონდა ნეო-სოციალისტების მესამე ნაციონალურ კონგრეს. წინანდელ ყრილობებთან შედარებით ამ კონგრეს უთუოთ უფრო მეტი სოციალისტური ელფერი ედო. აქ აღარ გაისმოდა არც მარკეს მოწოდება მარქსისტულ იდეოლოგიასთან და გედიზმთან ყოველგვარი კავშირის გასაწყვეტათ და მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის გამოსაცხადებლათ, არ ისმოდა არც მონტანიონის ნახევრად ფაშისტური სიტყვები, რაც ასე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ნეო-სოციალისტების მეორე ყრილობაზე. წინააღმდეგ, ეხლა მანტანიონი, დეა და სხვები უკან იხევდენ და ხაზს უსვამდენ იმას, რომ ვითომ მათი სიტყვები კარგათ არ იქნა გაგებული და ისინი რჩებიან სოციალისტებათ და ურყევათ დგანან ჟორესიზმის ნიადაგზე.

დღემდინ ნეო-სოციალისტებს ოფიციალურათ პარტიული პროგრამა არ ქონიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ესა თუ ის ნეო-სოციალისტი მწერლობაში, თუ კრებაზე გააცხადებდა, რომ ბელგიის მუშათა პარტიის პროგრამას, დემანის გეგმათ წოდებულს, იზიარებდა.

ეხლა ნეო-სოციალისტებმა მათ მესამე ყრილობაზე თავიანთ პროგრამათ შრომის გენერალურ კონფედერაციის სამოქმედო გეგმა გამოაცხადეს და მას შეუერთდენ.

კონფედერაციის გეგმა ბევრ რამეში წააგავს დემანის გეგმას და ის უთუოთ ამ უკანასკნელის ზეგავლენით არის შედგენილი. მაგრამ ამ ორ გეგმათა შორის მაინც დიდი განსხვავებაა.

კონფედერაციის გეგმა მოითხოვს კრედიტის, ბანკების და წარმოებათა მთავარ დარგების კონტროლს, ბელგიის მუშათა პარტიის პროგრამა—დემანის გეგმა უბრალო კონტროლით არ კმაყოფილდება და ამ დარგთა სრულ ნაციონალიზაციას თხოულობს.

კონფედერაციის გეგმა ძალაუფლების საკითხს გარკვეულათ არ აყენებს, დემანის გეგმა კი მას უმთავრეს მნიშვნელობას აკუთვნებს. ბელგიის სოციალისტური პარტია დაუშვებლათ სთვლის მთავრობაში კოალიციას მათთან, ვინც დემანის გეგმას მთლიანათ და დაუყონებლივ აღსასრულებლათ არ მიიღებს. ნეო-სოციალისტებს კი, რომელთაც კონფედერაციის გეგმა თავისათ გაიხადეს, შესაძლებლათ მიაჩნიათ მთავრობაში მონაწილეობა რადიკალ-სოციალისტებთან, რომელნიც არა თუ ამ გეგმას მიიღებენ და მას განახორციელებენ, არამედ დიდი ხანია თავიანთ საკუთარ პროგრამაზედაც უარი სთქვეს.

მეორე მეტათ რთული საკითხი კონგრესზე მარკეს საკითხი იყო. როცა გასულ წელს მარკეს წინაშე დილემა დადგა, თუ ის მთავრობაში დარჩებოდა, პარტიიდან უნდა გასულიყო, მან ეს უკანასკნელი აირჩია. დაბოლოს ის იძულებული გახდა მთავრობაც მიეტოვებინა. ეხლა კი ჟირონდის ფედერაციის სურვილი იყო მარკე პარტიას დაბრუნებოდა. მაგრამ ცხადი იყო, რომ კონგრესის დიდი უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იქნებოდა. ეს საკითხიც ღიათ და აშკარათ კონგრესზე არ დასმულა და არ გარჩეულა. ის მხოლოთ კომისიამ განიხილა; დარჩა ძველი გაურკვეველი მდგომარეობა: მარკე პარტიიდან გასულათ ითვლება, მაგრამ ჟირონდის ფედერაციის წევრათ მაინც ირიცხება.

ავსტრიელ სოციალისტების კონფერენცია.

გასული წლის სექტემბერში ვენაში შეიკრიბა ვენის ორგანიზაციის არალეგალური კონფერენცია. ამ წლის დასაწყისში კი ვენაშივე ადგილი ქონდა ნაციონალურ კონფერენციას, რომელსაც ვენის დელეგატებთან ერთათ დაესწრენ აგრეთვე წარმომადგენლები პროვინციებიდანაც. მთავარი საკითხები იყო: ორგანიზაციების აღდგენა, სოციალისტური მოძრაობის გაერთიანება და სამოქმედო პროგრამის გამომუშავება. არჩეულ იქნა დროებითი ნაციონალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა და მომავალი კონგრესის მომზადება. ეს კონგრესი მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას და დაადასტურებს ორგანიზაციის შესაფერ ფორმებს.

უკრაინის სოციალისტები.

გასულ დეკემბრის დამლევს ლემბერგში (პოლოლონეთი) შეიკრიბა უკრაინელ სოციალისტების კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატები ოთხი პარტიისა: 1) უკრაინელი სოციალდემოკრატიული პარტია, 2) უკრაინელი სოციალისტ-რადიკალური პარტია, 3) უკრაინელი სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, 4) უკრაინელი სოციალ-რევოლიუციონური პარტია. ორი პირველი პარტია მოქმედებას აწარმოებს პოლონეთის საზღვრებში, ორი უკანასკნელი კი საბჭოთა რუსეთში.

პოლონეთში მომუშავე უკრაინელი სოციალისტური პარტიები წინეთ ბოლშევიზანობდენ და საბჭოთა უკრაინაზე დიდ იმედებს ამყარებდენ. საბჭოთა უკრაინას ისინი სთვლიდენ ეროვნული კულტურის აყვავების წყაროთ და ადგილათ. შემდეგ ამ ბოლშევიზანების იმედები სავსებით გაქარწყლებულ იქნა სტალინის პოლიტიკით უკრაინაში, მიმართულ განსაკუთრებით უკრაინელ უკლონისტების წინააღმდეგ. მათი ენტუზიაზმი საბჭოების მიმართ თანდათან შენელდა და გაქრა.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა მეტათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის რეზოლიუციები. დაარსდა საერთო ორგანიზაცია უკრაინელ სოციალისტურ პარტიათა ბლოკის სახელწოდებით.

ინგლისის მუშათა პარტიაში.

ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ ორგანომ გადასწყვიტა გასწიოს მთელ ინგლისში ფართე პროპაგანდა ლოზუნგით: «სოციალიზმისათვის გამარჯვება». პარტიის კონგრესმა გასულ ოქტომბრის რიცხვებში მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც აღიარებულია, რომ ასეთი კამპანია უნდა შეადგენდეს მის მთავარ ამოცანას და ის წარმოებულ იქნას დიდი ენერგიით და ენტუზიაზმით. პარტია მოითხოვს, რომ ამომრჩევლები მომზადებულ იქნან სოციალისტურ პრინციპების მიხედვით და წინადადებას იძლევა ასეთ მუშაობას მომავალ საერთო არჩევნებისთვის ეხლავე შეუდგენ. ინგლისის ყველა კუთხეებში უკვე იმართება საჯარო კრებები, ვრცელდება ფურცლები და ბროშიურები, მზადდება ახალი გამოცემები. განსაკუთრებული ზომებია მიღებული პარტიისადმი ახალი წევრების მოსამხრობათ და მისი რიგების გასაძლიერებლათ. საპარლამენტო არჩევნებს ვარაუდობენ მომავალ შემოდგომისთვის. პარტია ეხლა უშვებს ორკვირეულ გაზეთს, რომელმაც სპეციალურათ უნდა უხელმძღვანელოს მთელ ამ მეურნეობას.

საერთო ფრონტი.

შვეიცარიის სოციალისტურ პრესაში გამოქვეყნებულია პარტიის განცხადება საერთო ფრონტის შესახებ. ამ განცხადებაში შვეიცარიის სოციალისტური პარტია ააშკარავებს კომუნისტების თაღლითობას და ამბობს, რომ, როცა ჩვენ კომუნისტები საერთო ფრონტს კი შემოგვთავაზებდენ, ისინი ყოველთვის ამავე დროს ჩუმი ზრახვებით ხელმძღვანელობდენ და პარტიის დასანგრევათ ჩვენ ზურგს უკან მუშაობას აწარმოებდენო. ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე მათ არასოდეს გარკვეული პასუხი არ მოუციათ და ჩვენ კიდევ ერთხელ კატეგორიულ უარს ვამბობთ მათთან რაიმე საერთო ფრონტზეო.

—

იანვრის ბოლო რიცხვებში ბელგიის სოციალისტური ახალგაზდობის კონგრესმა 15.529 ხმით 5.631 წინააღმდეგ დაადგინა გაუქმებულ იქნას საერთო მოქმედების პაქტი, რომელიც გასულ წელს კომუნისტურ ახალგაზდობასთან დადებული იყო. ამ გაუქმების მიზეზათ კონგრესი კომუნისტების არალოიაბას ასახელებდა.

◆

ბიბლიოგრაფია

ქ. კანდელაკი. «საქართველოს ეროვნული მეურნეობა», წიგნი პირველი; გამოცემა დ. ხელაძისა, პარიზი 1935 წ.

უცხო უღლის ქვეშ მოქცეული ქართველი ერი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს დამპყრობელთა წინააღმდეგ; მისი მტკიცე გადაწყვეტილებაა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და თავის ცხოვრების საკუთარ საკეთილდღეოთ მოწყობა. მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილება, ურყევი ნებისყოფა და ძლიერი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კიდევ არ არის საკმაო თავდები იმისა, რომ ერი მართლაც გახდება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ნამდვილი სუვერენი და საკუთარ ბედ იღბალის თავის სურვილისამებრ განმკარგულებელი. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით აუცილებლათ გულისხმობს ეკონომიურ დამოუკიდებლობასაც. ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა მხოლოდ მოჩვენებაა, თუ მას თან არ ახლავს ეკონომიური დამოუკიდებლობაც. ცხადია იგივე ითქმის ქართველ ერზეც: მისი დამოუკიდებლობა სხვა პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია მის ეკონომიურ შესაძლებლობისაგან, მის საარსებო რესურსებისაგან.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მტერნი ერთერთ არგუმენტათ იმასაც ხმარობენ, რომ თითქო საქართველო იმდენად ღარიბი ქვეყანა იყოს, რომ მას არ შეეძლოს თავისი საკუთარი საშვალებებით დაიკმაყოფილოს დამოუკიდებელ ცხოვრების დღევანდელი გართულებული მოთხოვნილებანი. მეფის რუსეთიც ხშირათ მიმართავდა ამ არგუმენტს და ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ქართველი ერი რუსის «მუჟიკის» პანსიონერი იყო თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ასეთი რამის სერიოზულად მტკიცებას ბოროტი საჩრული ედვა, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო. ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო იგივე მეფის რუსეთი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებდა. იგი არამც თუ არ ცდილობდა ხელი შეეწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლისა და გამოყენების საქმისთვის, არამედ პირიქით ხელის შემშლელის როლში გამოდიოდა და მთელი მისი მეცადინეობა იქეთკენ იყო მიმართული, რომ ხალხი და ქვეყანა ნივთიერად არ გაზრდილიყო, არ გამდიდრებულიყო და თავი რუსეთის ცენტრისგან დამოუკიდებლად არ ეგრძნო. ეგ გარემოება იყო, რომ აბრკოლებდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

მდგომარეობა შეიცვალა 1918 წლის მაისის შემდეგ. რუსეთის დიდი რევოლიუციის ქარტეხილში წარმოიშვა მკვდრეთით აღმსდგარი დამოუკიდებელი საქართველო; ქართველი ხალხი კვლავ გახდა თავისი თავის პატრონი, სუვერენული ერი და ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მოწესრიგების საკითხსაც საფუძველი ჩაეყარა. სამწუხაროთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეს ხანა მოკლე აღმოჩნდა და დაწყებული მუშაობაც შეწყვეტილ იქნა ახალ დამპყრობელების მიერ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა დაჯილდოვებულია უხვი ბუნებრივ სიმდიდრით, მაგრამ ასე ზოგადი ცოდნა—თქმა არ უნდა—დიდს არაფერს ნიშნავს. რომ ქვეყნის ნივთიერი და კულტურული ზრდის საქმე მყარ ნიადაგზე იყოს აგებული, ამისთვის საჭიროა მისი ცხოვრების ყველა მხარეების საფუძვლიანად შესწავლა და ანგარიშში მოყვანა. ცხადია, რომ ეგ მეტად რთული საქმეა, რომელიც მოითხოვს შესაფერ ორგანიზაციას, დიდ დროს, სათანადო ცოდნას, გამოცდილებას, მასალებს და, რაც მთავარია, შენს ქვეყანაში ყოფნას. ჩვენ კი ყველა ამას მოკლებული ვართ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გულზე ხელი დავიკრიფოთ და არაფერი ვაკეთოთ. ჩვენი ვალია გავაკეთოთ ის ცოტა მაინც, რაც შესაძლებელია დღევანდელ პირობებში და ამით ცოტათი მაინც წავწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის შესწავლის საკითხი.

ცხადია ამ მოვალეობის გრძნობით ხელმძღვანელობდა კ. კანდელაკიც, რომელსაც განუზრახავს საქართველოს ეროვნულ მეურნეობის საკითხების გაშუქება. ჩვენს წინ დევს განზრახული შრომის 188 გვერდიანი პირველი წიგნი,—«ტერიტორია და მოსახლეობა»,—რომელსაც დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია და საქართველოს სქემატიური პოლიტიკური რუქა. ამ მშვენიერად და კარგ ქაღალდზე გამოცემულ წიგნის პირველ ნაწილს შეადგენს ვრცელი შესავალი, რომელიც ორი თავისაგან შესდგება. პირველი თავი მიზნად ისახავს გაარკვიოს, რომ ერი, სახელმწიფოთ ჩამოყალიბებული, წარმოადგენს არა მარტო ერთ პოლიტიკურ და იურიდიულ ორგანიზმს, არამედ იმავე დროს ერთ ეკონომიურ ორგანიზმსაც. ავტორი მოკლე, მაგრამ მეტად ნათელი სიტყვით აცნობს მკითხველს ყველა დღემდე არსებულ მთავარ ეკონომიურ თეორიებს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თეორიების გადმოცემა არის არა უბრალო კომპილიატიური; თვითეულ მათგანს ახლავს ავტორის აზრიც, აღნიშნულია მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მათი ცხოვრების მიერ გამართლება თუ უარყოფა.

შესავლის მეორე თავის საგანს წარმოადგენს «ეკონომიური საქმიანობის უმთავრესი პირობები», რომელშიაც გარკვეულია მნიშვნელობა ბუნების—ჰავის, წყლის, მთისა და ბარის, დედამიწის გეოლოგიურ აგებულების, მიწის ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის, დასასრულ შრომის და მისი მომცემის—მოსახლეობის.

შრომის მეორე ნაწილი საქართველოს ტერიტორიის აღწერას შეიცავს. აქ მოცემულია საქართველოს ტერიტორიის სივრცე და მისი შედარება სხვა ქვეყნების ტერიტორიების სივრცესთან, საქართველოს ტერიტორიის ზედა პირი, სახმარი და უხმარი მიწების სიფართოვე და სხ.

მესამე ნაწილი შეეხება «საქართველოს მოსახლეობას». აქ გარკვეულია მოსახლეობის ყველა კითხვები, კერძოთ მოსახლეობა ეროვნების მიხედვით, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ცალკე ტფილისის მოსახლეობა, წერა-კითხვის ცოდნა, მოსახლეობის სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შრომის პირობები და მოსახლეობის კვება.

ამნაირად ავტორს განხილული აქვს და სრულიად სამართლიანად სთვლის მოცემულათ «საქართველოს ეროვნულ ეკონომიის ორ უმთავრეს პირობას: საკმარისი ტერიტორია და მოსახლეობა—თავისი წარსულით, კულტურით და ეროვნული შეგნებით გაერთიანებული. ამას მოწმობს სრულიად ობიექტიური მიდგომა საკითხისადმი და ამასვე აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმის მომავალ დამოუკიდებლობისათვის». ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ავტორის ოპტიმიზმი ოდნავადაც არ არის გადაჭარბებული და იგი უთუოდ გამომდინარეობს საკითხისადმი სრულიად ობიექტიური მიდგომიდან.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ შრომაში მოცემული სტატისტიკური ცნობები აღძრულ კითხვების შესახებ სავსებით ამომწურავი იყოს,—ასეთი პრეტენზია არც ავტორს აქვს,—ეს ემიგრანტულ პირობებში შეუძლებელი რამ არის. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ მთელ შრომას თავიდან ბოლომდე აზის კეთილსინდისიერებისა და სრული მიუდგომლობის ბეჭედი. ყველა კითხვები, დიდი თუ პატარა მნიშვნელობის, განხილული და გარკვეულია დიდის ცოდნითა და საქმის სიყვარულით, გამოყენებულია ყველა მასალები, რომელზედაც კი ხელი მიუწვდება თავის ქვეყნიდან მოწყვეტილ ადამიანს.

გადაუჭარბებლათ შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალი წიგნი დიდი შეძენაა ჩვენი ეკონომიური ლიტერატურისათვის; იგი პირველი შრომაა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის დარგიდან, რომელიც აწვდის მკითხველს მრავალ საჭირო ცნობას. ყველა ქართველს, ვინც კი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ავ კარგით და მისი შესწავლით, ეს წიგნი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს, განსაკუთრებით იმ ჩვენს ახალგაზდობას, რომელიც უკუღმართმა ბედმა დროებით მოსწყვიტა სამშობლოს და საშვალება მოუსპო თავისი ქვეყანა თავის სახლში და ნორმალურ პირობებში შეესწავლა.

ამ პირველ წიგნს უნდა მოყვეს კიდევ შემდეგი ორი წიგნი და მაშინ ჩვენ გვექნება «საქართველოს ეროვნულ მეურნეობის» სრული გამოცემა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი უკანასკნელი წიგნის გამოცემა სავსებით დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორი სისწრაფით გავრცელდება უკვე გამოსული პირველი წიგნი. ემიგრაციაში წიგნის გამოცემა რომ ძნელი საქმეა ყველას მოეხსენება. ეს არის არა კომერციული, არამედ დიდი ეროვნული და კულტურული საქმე და ყველა ჩვენთაგანი მოვალეა ხელი შეუწყოს მას. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენ გვყავს უანგარო გამომცემელი დ. ხელაძე, მაგრამ მის ნივთიერ შესაძლებლობას აღემატება გამომცემლობის ხარჯების მარტო თავისი მხრებით ზიდვა, ჩვენი ვალია იმით მაინც მივეშველოთ, რომ შევიძინოთ მისი გამოცემები და მით საშვალება მივსცეთ ახალი გამოცემები მოგვაწოდოს.

საერთო ეროვნული საქმე უნდა კეთდებოდეს საერთო ძალ-ღონით. ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

ი. ჭ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

უღრმეს მადლობას ვწირავ, ვინც ჩემთან იყო ამ გასაჭირში.

მართალია, სიცარიელეს დედ-მამის დაკარგვით ნაგრძნობს ვერაფერი შეავსებს, მაგრამ თბილი ამხანაგური ნუგეში დიდი მალამო ყოფილა დაობლებული სულისთვის.

პატივისცემით აკ. მეფარიშვილი.

◆

შეცდომის გასწორება

«ბრ. ხმას» მე-51 ნომერში დასტამბულ თ. კიკვაძის შესახებ ნეკროლოგში შეცდომით დაბეჭდილია: მან სიტყვა წარმოთქვა მინისტრ პარ. ჭიჭინაძის დასაფლავებაზე. უნდა იყოს: მან სიტყვა წარმოსთქვა ლ. ნათაძის დასაფლავებაზე.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.